შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№38 (9.652)

11-18 ოქტომბერი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ფულადი ჯილდო-სპორტსმენებს და პოეტს

6 ოქტომბერს ჩატარდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი უძღვებოდა. საკრებულოს სხდომაზე განიხილეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის „დედოფლისწყაროს სათნოების სახლის“ რეორგანიზაციის საკითხი. როგორც აღინიშნა, ის აქამდე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, ამიერიდან კი მას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა განკარგავს. საკრებულომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის „დედოფლისწყაროს სათნოების სახლის“ რეორგანიზაციაზე და ახლის დაფუძნებაზე თანხმობა მისცა. საკრებულოს წევრებმა განიხილეს საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების საკითხი და შესაბამისი წესიც დაადგინეს. საკრებულოს წევრთა ხარჯების ზედა ზღვარი 300ლარით, ხოლო ქვედა ზღვარი-150 ლარით განისაზღვრა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე მიღებული დადგენილებით წარმატებულ დედოფლისწყაროელ სპორტსმენებს-მარიამ ჯანაშვილს და ხვიჩა ქოქუაშვილს ფულადი ჯილდოები გადაეცემათ. ,,მათ არაერთხელ ასახელეს ჩვენი რაიონი.მარიამი საქართველოში ყველაზე ტიტულოვანი ძიუდოისტი ქალია,შარშან ის ერთპიროვნულად გახდა ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული,ხოლო მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე ადგილს დასჯერდა. რაც შეეხება ხვიჩა ქოქუაშვილს, წელს ის მსოფლიოს პროფესიონალ კიკბოქსინგელთა სარეიტინგო სიაში პირველ ნომრად დასახელდა. ვალდებულები ვართ მათ გვერდში დავდგეთ და თუნდაც მცირედი თანხით წავახალისოთ”-აღნიშნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ზვიად ჯავახიშვილმა.

წლევანდელი „შოთაობის“ გამარჯვებული პოეტი ქეთევან ნათელაძე საკრებულოს წარმომადგენლებმა მშობლიურ რაიონში დაბრუნებისთანავე მოინახულეს და წარმატება პირადად მიულოცეს. საქართველოს მწერალთა კავშირისა და მეცნიერებათა აკადემიის 21 წლის წევრმა საკრებულოს თავმჯდომარესთან საუბარში ლექსების კრებულის დაბეჭდვის სურვილი გამოთქვა. ქეთევანის ეს ოცნება უახლოეს მომავალში ასრულდება,რადგან საკრებულოს სხდომაზე მიღებული დადგენილებით ქეთევან ნათელაძის კრებულის გამოსაცემად ადგილობრივი ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხა გამოიყოფა.

,,ეს მინიმუმია,მაგრამ მეტის გაკეთება ამ ეტაპზე არ შეგვიძლია. იმედია,ეს ჩვენს სახელოვან თანამემამულეებს კიდევ უფრო მეტ სტიმულს მისცემს შემდგომი წარმატებების მისაღწევად“-აღნიშნა ზვიად ჯავახიშვილმა.

ზომიერება = კულტურას

ზომიერებას ჯერ კიდევ ანტიკური საბერძნეთის მოაზროვნეებმა მიაქციეს ყურადღება და ის ოთხ უმთავრეს სათნოებათა რიცხვში შეიყვანეს კეთილგონიერებასთან, სამართლიანობასთან და მხნეობასთან ერთად. მათ ამგვარ სულისკვეთებას ნათლად ასახავს წარწერა აპოლონის ტაძარზე დელფოში: Meden Agen (არაფერი გადაჭარბებით). შემდგომში, ზემოთ ხსენებული სათნოებები ქრისტიანობაში ამბროსი მედიოლანელმა შემოიტანა “კარდინალური სათნოებების” სახელწოდებით. პლატონი თავის რესპუბლიკა-ში ახასიათებს ზომიერებას, როგორც სათნოებას, რომელიც გვეხმარება ვაკონტროლოთ და მოვთოკოთ ჩვენი ვნებები, სურვილები და ემოციები. ის თვლიდა, რომ ზომიერება უნარჩუნებს საზოგადოებას წესრიგსა და თავისუფლებას.

ძვ.წ. აღ. IV საუკუნეში მოღვაწე არისტოტელემ შემოიღო ეთიკის საგანი, რომლის მიხედვითაც ძირითად სიკეთედ ითვლება ორ უკიდურესობას შორის ზომიერების მიღწევა. მაგალითად, გულუხვობა არის შუალედური უკიდურეს სიძუნწესა და უაზროდ მფლანგველობას შორის. რაც მოგვიანებით ჩვენი წელთაღრიცხვით 62 წელს მოღვაწე რომაელმა პოეტმა ჰორაციუსმა თავის ოდებში შემოიტანა.

დიდ პატივს ვცემ წონასწორობას, ზომიერებას, ოქროს შუალედს.

პროფესიაც ისეთი მაქვს - მავალდებულებს, ფაქტებს და მოვლენებს ათვლის სხვადასხვა წერტილიდან შევხედო; თავად კი ნეიტრალური პოზიცია შევინარჩუნო და ამ სტანდარტის ხანგრძლივად დაცვით მოვიპოვო საზოგადოების ნდობა...

მაგრამ, რაც დრო გადის, ვგრძნობ, მეც მიჭირს ზომიერების დაცვა და ბევრსაც აღიზიანებს ჟურნალისტური პოზა, როცა შენს სამშობლოში მიმდინარე პროცესები არ გეხება, რადგან, ნებისმიერ შემთხვევაში, ცივსისხლიანი პროფესიონალის როლში უნდა დარჩე. თუმცა, ამ შემთხვევაში ამ სტანდარტს დავარღვევ და ზომიერებაზე საკუთარ, სუბიექტურ აზრს შემოგთავაზებთ...

ყველა ერს თავისი წარსული, ტრადიციები აქვს, საიდანაც მისი სახე და ხასიათი ყალიბდება და ვლინდება. მეცნიერები ამბობენ, რომ გეოგრაფიული არეალიც გარკვეულწილად განაპირობებს ადამიანთა ტემპერამენტს, მათ ქცევას. არ ვიცი, სამხრეთული კლიმატი რამდენად მართავს ჩვენს ეროვნულ ხასიათს, მაგრამ ფაქტია, რომ ფიცხ ქართველებს ზომიერების გრძნობა ხშირად გვღალატობს.

აკი ხშირად ვაღიარებთ კიდეც, ბუნებით მაქსიმალისტი ხალხი ვართ, სიყვარულიც ძლიერი ვიცით და სიძულვილიცო. საშუალოს არ ვცნობთ, ადამიანების შეფასების კრიტერიუმიც ასე გამოიყურება: კარგი და ცუდი- მორჩა, არც მეტი, არც ნაკლები...

ჩვენი გრძნობების გამოხატვაც აფექტურია-წამიერი აფეთქების ნიადაგზე შესაძლოა ერთმა ადამიანმა მეორე მოკლას, განაწყენებულმა ისეთი შეურაცხყოფა მიაყენოს ნაკლებად დამნაშავე ადამიანს, რომ შედეგზე ნაკლებად ან საერთოდ არ იფიქროს. ვფიქრობ, პრობლემის სათავეც სწორედ ამაშია, რომ შედეგზე ორიენტირებულები ნაკლებად ვართ, ამაზე ჩვენი უახლესი ისტორიაც მეტყველებს. ეს ვლინდება ყველა სფეროში, მათ შორის პოლიტიკაშიც. პოლიტიკური

(გაგრძელება გვ.3)

ყველაზე მეტად ის სტკივა, როცა ვინმე სიბრალულით შეხედავს!

გვ. 6

2015 წელს პენსიები და პედაგოგთა ხელფასები გაიზრდება

გვ. 2

ნაკვეთებში უკანონო ძოვების საკითხი,კანონპროექტის დროულად ძალაში შესვლას მოითხოვს

გვ. 4

„დედა ენა“ ერის სიცოცხლეა...

გვ. 5

ირაკლი ღარიბაშვილი - ჩვენ სრულიად სამართლიანად ვამაყობთ ჩვენი ჩემპიონებით

ჩვენ სრულიად სამართლიანად ვამაყობთ ჩვენი ჩემპიონებით, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა რუსთაველის თეატრში განაცხადა, სადაც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის 25 წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიება მიმდინარეობს.

პრემიერის განმარტებით, ჩვენ გვაქვს წარმატებები, რომლებიც ნებისმიერი ჩვენზე დიდი ქვეყნისთვის იქნებოდა საამაყო. "გილოცავთ ყველას დღევანდელ დღეს - საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის 25 წლისთავს. ვულოცავ ამ დღეს ჩვენ სახელოვან სპორტსმენებს, ჩვენს ოლიმპიელებს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მესვეურებს, ქართული სპორტის ყველა გულშემატკივარს.

ნამდვილად საამაყოა ის, რომ საქართველო იყო პირველი ქვეყანა მთელ საბჭოთა სივრცეში, რომელმაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე დააფუძნა დამოუკიდებელი ოლიმპიური კომიტეტი და გახდა დიდი ოლიმპიური ოჯახის სრულუფლებიანი წევრი.

ჩვენ სრულიად სამართლიანად ვამაყობთ საქართველოს ოლიმპიური გამარჯვებებით, ჩვენი ჩემპიონებით. ჩვენ გვაქვს წარმატებები, რომლებიც ნებისმიერი ჩვენზე დიდი ქვეყნისთვის იქნებოდა საამაყო. ოლიმპიური ოქროს მედლების რაოდენობით საქართველო მსოფლიოს პირველ ოცდაათ ქვეყანას შორისაა, ხოლო მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებით - კიდევ უფრო წინ ვართ", - განაცხადა პრემიერმა.

სიტყვით გამოსვლის დროს ირაკლი ღარიბაშვილმა მადლობა გადაუხადა ოლიმპიელებს იმ სიხარულისთვის, რომელიც ქართველ ხალხს მოუტანეს მაშინ, როცა საქართველო ჯერ კიდევ არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო.

"სწორედ ამიტომ ყველა თქვენი გამარჯვება ეროვნული დღესასწაულის ტოლფასი იყო. მინდა მადლობა გადავუხადო იმ ოლიმპიელებს, რომლებმაც უკვე დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში საქართველოს დროშა ააფრიალეს ოლიმპიურ ქალაქებში და ასახელეს ჩვენი სამშობლო.

მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მესვეურებს, რომელთა დაუღალავი და თავგანწირული შრომის შედეგია ჩვენი სახელოვანი ოლიმპიელების გამარჯვებები.

უდიდესი პატივისცემით მინდა მივესალმო და მადლობა გადავუხადო ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველ პრეზიდენტს, ყველა დროის სახელოვან მოჭადრაკეს, ჩვენს საამაყო ადამიანს, ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს, რომელსაც უზარმაზარი ამაგი აქვს გაწეული ქართული სპორტის განვითარების საქმეში.

ჩვენს ღვაწლმოსილ სპორტსმენებთან ერთად განსაკუთრებით მინდა მივესალმო სპორტსმენთა ახალ თაობას, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ მომავალი შეჯიბრებებისთვის, მომავალი გამარჯვებებისთვის. დარწმუნებული ვარ, ქართული სახელმწიფოს დროშა არაერთხელ აფრიალდება და კიდევ ბევრჯერ გაიჟღერებს საქართველოს ჰიმნი. მინდა ჩემი პატივისცემა დავუდასტურო ჩვენს სტუმრებს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, ბატონ თომას ბახს, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტს, ბატონ პატრიკ ჰიკს, აგრეთვე ყველა სტუმარს და მადლობა გადავუხადო ყველას ჩამობრძანებისთვის და საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის მხარდაჭერისთვის. კიდევ ერთხელ გილოცავთ დღევანდელ დღეს და წარმატებებს გისურვებთ ყველას", - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოში ღვინის მუზეუმი აშენდება

„ჩვენ გადავწყვიტეთ ავაშენოთ ღვინის მუზეუმი - ერთგვარი ცენტრი, რომელშიც თავმოყრილი იქნება ქართული ღვინის მთელი ისტორია. საქართველოს ექნება ისეთი მუზეუმი, რომელსაც არ მოაკლდება არც ქართველი და არც უცხოელი მნახველი", - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კახეთში, ღვინის დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე.

პრემიერის თქმით, მუზეუმის განვითარების ფონდი სარეგისტრაციოდ უკვე მზად არის, შექმნილია სამეთვალყურეო საბჭო. ასევე, გაიმართა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა მსოფლიოში ცნობილ სპეციალისტებთან და არქიტექტორებთან.

როგორც პრემიერმა საზეიმო ღონისძიებაზე აღნიშნა, ღვინის დღის დაწესება ღვინის კულტურის უძველესი და უნიკალური ისტორიის გამო გადაწყვიტა.

„ქართველი კაცისთვის, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ვაზი და ღვინო ქართველობის იდენტობის ტოლფასია. ქართული მეღვინეობის ისტორია ქართველი ხალხის ისტორიასთან არის გადაჯაჭვული. უკვე ათეული წლებია ყველასთვის ცნობილია, რომ სწორედ საქართველოშია კულტურული მევენახეობის უძველესი ნაკვალევი. ვაზის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება მართლაც უნიკალურია ჩვენს ქვეყანაში. ვენახი ჩვენი სულიერი სიმტკიცის წყაროა. სწორედ ამ შეგნებით უვლის და იცავს ქართველი კაცი ვაზს. ეს რომ არა, ძნელი წარმოსადგენია, ამ პატარა მინაზე ვაზის კულტურის ხუთასზე მეტი სხვადასხვა სახეობა, სხვადასხვა ჯიში არსებობდეს. ჩვენ ვამაყობთ, რომ ქართველებმა ცივილიზაციას შემოუნახეს საუცხოო ღვინის დაყენების უნიკალური, ათასწლოვანი ტექნოლოგია", - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, ქართული ტრადიციული წესით ქვევრში დაყენებული ღვინო სულ უფრო პოპულარული ხდება და მალე მსოფლიოში ყველაზე აღიარებულ ღვინოებსაც გაუწევს კონკურენციას.

„შემთხვევითი არ არის, რომ ქვევრის ღვინის დაყენების ტრადიციულ მეთოდს იუნესკომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა. ეს მიუთითებს ამ მეთოდის უნიკალურობაზე და გზავნილია მთელი მსოფლიოსთვის, რომ ღვინო უძველესი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია. ეს აღიარება მნიშვნელოვანია ქვევრის ღვინის პოპულარიზაციისათვის და ხელს უწყობს ზოგადად ქართული ღვინის პოპულარიზაციას. ჩვენ სწორედ ახლა გვეძლევა საშუალება ახლებურად წარმოვაჩინოთ და საკადრისი ადგილი დავუმკვიდროთ ქართულ ღვინოს მსოფლიოს საუკეთესო ღვინოების გვერდით და მჯერა, იგი მსოფლიოში ყველაზე აღიარებულ ღვინოებსაც კი გაუწევს კონკურენციას და მსოფლიო ღვინის ბაზარზე ერთ-ერთ საპატიო ადგილს დაიკავებს. ჩვენი ღვინო ჩვენი ქვეყნის საიმიჯო პროდუქტი გახდება და თითოეული ქართველი იამაყებს ამით", - აღნიშნა პრემიერმა.

ღარიბაშვილის განცხადებით, ქართული ღვინო დამსახურებულად იკავებს თავის ადგილს მსოფლიოში და ამას ისიც ადასტურებს, რომ საქართველო ერთი წლით (2014 — 2015წ.) ღვინის ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (ჭჭთჩ) თავმჯდომარე ქვეყანა გახდა და 2014 წლის 25-27 აგვისტოს წლიურ კონგრესსაც უმასპინძლა.

„როგორც კახელ კაცს, განსაკუთრებით მიხარია, რომ ქართული ღვინის პირველ ეროვნულ დღესასწაულს თბილისთან ერთად სწორედ კახეთი მასპინძლობს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ღვინის ეროვნული დღე საქართველოს ყველა კუთხის ღვინოს წარმოადგენს. დარწმუნებული ვარ, რომ ღვინის ეროვნული დღის გეოგრაფია უფრო გაფართოვდება და მომავალში ამ დღეს მეღვინეობის სხვა რეგიონებშიც აღვნიშნავთ. წელს ღვინის ეროვნული დღე აღინიშნება წარმატებული რთველის ფონზე, რომელიც კახეთში უკვე დასკვნით ფაზაშია. დღევანდელი მონაცემებით, კახეთში უკვე გადამუშავებულია 115000 ტონამდე ყურძენი. ყურძნის ჩაბარების შედეგად მევენახეების მიერ მიღებულმა შემოსავალმა მხოლოდ კახეთში 154 მილიონი ლარი შეადგინა", - აღნიშნა ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, რთველის წლევანდელი მონაცემები ბოლო ოცი წლის განმავლობაში რეკორდული იყო.

2015 წელს პენსიები და პედაგოგთა ხელფასები გაიზრდება

ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძე განაგრძობს 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პარამეტრების გაცნობას პარლამენტის კომიტეტებისათვის.

როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, პენსიები გაიზრდება როგორც 2015 წელს, ისე 2016 წელს. კონკრეტული მოცულობა ცნობილი გახდება უახლოეს ორ თვეში.

რაც შეეხება პედაგოგთა საბაზო ხელფასებს, 2015 და 2016 წლებში ასევე იგეგმება პედაგოგთა შრომის ანაზღაურების გაზრდა. „ფინანსთა სამინისტრო ამჟამად მუშაობს განათლების სამინისტროსთან ერთად აღნიშნულ საკითხზე და ბიუჯეტის პროექტის გადამუშავების პროცესში, ამ მიმართულებით თანხების მობილიზება მოხდება," - აცხადებს ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძე.

მისი თქმით, ასევე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სხვა სამინისტროებთან ერთად, რომლებიც საბიუჯეტო თანხების გაზრდას ითხოვენ.

დედოფლისწყაროს, ყვარელს და ლაგოდეხს ინფრასტრუქტურის მოსაწყობად 4 952 034 ლარი გამოეყო

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დედოფლისწყაროს, ყვარლის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებს 4 952 034 ლარი გამოეყო. მთავრობის განკარგულებით, აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურის მოწყობას მოხმარდება.

მთავრობის განკარგულების თანახმად, ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე დედოფლისწყაროში 1 560 622 ლარი დაიხარჯება, ლაგოდეხში 1 852 180 ლარი, ყვარელში კი 1 539 232 ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დედოფლისწყაროსთვის გამოყოფილი თანხიდან 94 905 ლარი დაიხარჯება კახეთის ქუჩის დარჩენილი ნაწილის ასფალტის საფარის რეაბილიტაციისთვის; 87 345 ლარით ასფალტი დაიგება თერგის ქუჩაზე; 98 942 ლარით - არხოტის ქუჩაზე, 66 277 ლარით კი ბაგრატიონის ქუჩაზე. 352 528 ლარი დაიხარჯება სოფელ სამრეკლოში, სტალინის ქუჩიდან თამარის ქუჩის ბოლომდე ასფალტის დასაგებად. 100 000 ლარია გამოყოფილი ალადაშვილის ქუჩის დარჩენილი ნაწილის მოასფალტებისთვის. 145 721 ლარი დაიხარჯება სოფელ ხორნაბუჯში მოსულიშვილის ქუჩაზე ასფალტის საფარის რეაბილიტაციისთვის. 605 793 ლარი კი გედიქიას ხევიდან სოფელ ზემო მაჩხაანის რეზერვუარებამდე ახალი წყალმომარაგების სადაწნეო მაგისტრალური ქსელის მოსაწყობად. 9 111 ლარია გამოყოფილი 4 ქუჩის მოასფალტების საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესასყიდად.

ლაგოდეხში ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოყოფილი 1 852 180 ლარიდან 179 000 ლარი მოხმარდება თავისუფლების ქუჩაზე მდებარე კულტურისა და დასვენების ტყე-პარკის რეაბილიტაციას; 746 216 ლარი დაიხარჯება სანიაღვრე არხების რეაბილიტაციისთვის, 420 800 ლარი სოფელ ვარდისუბნის ცენტრალური ქუჩის მოასფალტებისთვის, 365 142 ლარი სოფელ ჭიაურში გზის საფარის მოსაწყობად, 35 293 ლარი ქვემო გურგენიანში ხიდის რეაბილიტაციისთვის, 69 890 ლარი კი ლაგოდეხის N2 ბაგა-ბაღის რეაბილიტაციისთვის. 35 840 ლარია გამოყოფილი საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურებისთვის.

ყვარელში 479 999 ლარი დაიხარჯება სოფელ შილდის სასმელი წყლის შიდა ქსელის და სამარაგო რეზერვუარის რეაბილიტაციისთვის, 100 000 ლარი კუდიგორის ქუჩის დასავლეთის მონაკვეთის რეაბილიტაციისთვის, 868 426 ლარი სოფელ ახალსოფელში კულტურულ-სპორტული გამაჯანსაღებელი ცენტრის რეაბილიტაციისთვის. 60 022 ლარი მოხმარდება ზინობიანის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციას. 30 785 ლარი დაიხარჯება საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებასა და საექსპერტო მომსახურებაზე.

კახეთში მსხვილფეხა საქონლის დაუდგენელი დაავადება გავრცელდა

სიღნაღის, დედოფლისწყაროს და გურჯაანის რაიონებში მსხვილფეხა საქონელი მასობრივად დაავადდა. არის შემთხვევები, როცა დაავადების გამო საქონელი იხოცება. მოსახლეობა დახმარებას სოფლის მეურნეობის სამინისტროდან ითხოვს.

ადგილობრივების ინფორმაციით, გავრცელებული დაავადება შესაძლოა კვანძოვანი დერმატიტი იყოს, რომელიც აზერბაიჯანში რამდენიმე თვის წინ გავრცელდა.

„აგრო განვითარების ჯგუფის" მთავარი ვეტერინარის მიხეილ ჭიჭაყუას განცხადებით, სისხლის ანალიზის და ლაბორატორიული დასკვნის გარეშე დაავადების ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია. მისივე თქმით, დაავადების ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა გასულ ზაფხულს არსებული გვალვა იყოს.

„გლეხებმა და ფერმერებმა რეკომენდაციისთვის მოგვმართეს დედოფლისწყაროს, სიღნაღის და გურჯაანის რაიონიდან. ასეთივე სიმპტომებით დაავადება დაფიქსირდა გარდაბანშიც. მსგავსი, მაგრამ რამდენიმე შემთხვევა გასულ წელსაც იყო საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე. შესაძლოა, ერთდროულად რამდენიმე დაავადებაც იყოს გავრცელებული. წელს გვალვის გამო საქონელი ცუდად გამოიკვება და დასუსტებულია. არის საქონლის სიკვდილიანობის ცალკეული შემთხვევები, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ დაავადება კონტროლს ექვემდებარება და თუ საქონელი ძალიან დასუსტებული არ არის, მკურნალობის შემთხვევაში მისი გადარჩენა შეიძლება. ფაქტია, რომ დაავადება ფართოდ ვრცელდება და სიტუაციას მუდმივი კონტროლი და ყურადღების მიქცევა სჭირდება",- აღნიშნა მიხეილ ჭიჭაყუამ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს განცხადებით, მსხვილფეხა საქონელში გავრცელებული დაავადების შესახებ არც სააგენტოს ხელმძღვანელობას და არც რაიონების მთავარ ვეტექიმებს ინფორმაცია არ აქვთ.

ზომიერება = კულტურას

(პირველი გვერდიდან)

ბატალიების დროსაც საარჩევნო სუბიექტების ქარიზმას უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მათ საარჩევნო პროგრამას...

შედეგზე ორიენტირებულები მეტად რომ ვიყოთ, იქნებ ქცევის მანერაც და გამოხატვის ფორმებიც დაგვეხვეწა და უფრო ცივილური გაგვეხადა. ევროპულ ოჯახში განევრება მხოლოდ პოლიტიკური ან ეკონომიკური თვალსაზრისით კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ ჩვენი იმ ღირებულებებთან თანაზიარობითაც, რაც მართლაც მისაბაძი და გადმოსაღებია, მათ შორის კანონმორჩილება. ჩვენს ქცევაში არსებული ლაფსუსების გამართლებას „ტრადიციებისადმი ერთგულებით“ რომ ვცდილობთ, გასაგებია, მაგრამ ფაქტია, ძველი, მათ შორის ტრადიციული ბორკილების მსხვრევასაც ხალხი ახდენს და ახლის ფორმირებასაც. ტრადიციების ნაწილიც ხალხის აზროვნების ნაყოფია, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და ცვლილებასაც არაერთხელ განიცდიდა. ალბათ, ყველამ შვებით ამოისუნთქა, როდესაც საქართველოს მთიან მხარეში სისხლის აღების დრომოჭმული და სასტიკი ტრადიცია წარსულის კუთვნილება გახდა. დღესაც ბევრს არ მოსწონს ხალხმრავალი ქელეხის სუფრა, როცა ზღვარგადასული სმა-ჭამა ჭირისუფალს აიძულებს, დროებით მიცვალებული დაივიწყოს და სტუმრების პატივისცემაზე გადაერთოს, თუმცა, ამასაც ჩვენი ტრადიციით ვამართლებთ.

დიახ, ასეთები ვართ, სიხარულსა და მწუხარებაშიც ვავლენთ ჩვენს ბუნებას და ქეიფის დროსაც, არადა, ისტორიული წყაროების მიხედვით, გადაჭარბებული სმა-ჭამა საქართველოში იშვიათობა იყო , ქართული სუფრა ძირითადად სამი სასმისით და, შესაბამისად, 3 სადღეგრძელოთი შემოიფარგლებოდა-ხოლმე და ზედმეტი თრობა ნაკლად ითვლებოდა და არა მამაკაცურ ღირსებად. მაშ რა დაგვემართა დღეს?

„ჩვენ ძალიან შორს ვართ შრომისგან და მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ამას. ჩვენ გვახასიათებს თავისუფალი ცხოვრება, ზედმეტი განცხრომა, სიხარული და ზედმეტი მწუხარება, ზომიერება გვაკლია“-ბრძანა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა თავის ერთ-ერთ ქადაგებაში.

არცთუ ისე ხშირად, მაგრამ სიკეთეც უზომო ვიცით, თუმცა, ამ ბოლო დროს ამ მადლზე საუბარი ძნელია, რადგან მანაც თავისი ნამდვილი არსი დაკარგა და ანგარებიანი გახდა. რადგან სიკეთის გამოხატვის ფორმაზეც მიდგა საქმე, აქვე შევეხები ზომიერებისა და სიყალბის თემას, ანუ, სად გადის ზღვარი დღეს ზომიერებასა და არაგულწრფელობას შორის?

ამ ბოლო დროს იმდენად გახშირდა დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე, რომ ეს ფაქტები ჩვენი ერის ტოლერანტულობასაც ეჭვქვეშ აყენებს- აქაც გვღალატობს ზომიერების გრძნობა და ისტორიაც გვავიწყდება, მათ შორის, დავით აღმაშენებლის ეპოქა. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ სივრცეში, სადაც ზომიერების პრობლემა განსაკუთრებულად მწვავედ დგას, და მასთან ერთად კიდევ ერთი საკითხიც აქტუალური ხდება- ზომიერება სულ უფრო მეტად უახლოვდება სიყალბეს, ხოლო გულწრფელობა — რადიკალიზმს და ამბოხს. ამიტომ, ყველაზე რთული სწორედ იმ ოქროს შუალედის გამონახვაა, რომელიც შორს იქნება რადიკალიზმისგან, ხოლო ახლოს- ზომიერებასთან. შევხედოთ რეალობას ფხიზელი თვალით და ვეცადოთ, ნაკლებად გვქონდეს ქვეყანაშიც და ოჯახშიც დანგრეული ოცნების კოშკები. “ოცნებებიც ხომ ისპობიან” -აღმოხდება დოსტოევსკის ოცნებაზე უსაზღვროდ შეყვარებულ ერთ-ერთ გმირს „თეთრ ღამეებში“ და დოსტოევსკი აქ უკვე ოცნების კოშკების დანგრევის, “ძირს დაშვების” სასტიკ და რეალურ სურათს გვიხატავს. გვაჩვენებს, თუ როგორი დასასრული შეიძლება ჰქონდეს უსასრულო ოცნებას და არაზომიერებას.

ინგა შიოლაშვილი

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაეჩნდების“...

(დასაწყისი გაზეთ „შირაქი“-ს №37)

კაიროში ჩავედით საღამოს, არცკი დაგვალაპარაკეს, ისე შეგვყარეს პატარა ზომის “კუკუშკების” მსგავს ვაგონებში და, ისევ ბარგის გარეშე, გაგვიყვანეს ლუქსორის გზას, რომელიც კაიროდან დაშორებულია 600 კმ-ით „ ლუქსორი“ ნიშნავს ტაძრების ქალაქს. ლუქსორში ჩავედით დილის 6 საათზე, საკმაოდ დანჯღრეულები. კაცებს ეძინათ ტროტუარზე, ჩვენ გვეგონენ მაღაზიის დარაჯები, თურმე ყოფილან უსახლკაროები. ეს მაშინ ჩვენთვის წარმოუდგენელი რამ იყო.

ეტლებით წაგვიყვანეს სასტუმროში. იქ დაგვეხვივნენ არაბები, (კაცები და ბავშვები) რომლებიც მათხოვრობდნენ. განსაკუთრებით ბავშვები გვაბეზრებდნენ თავს. გვთავაზობდნენ ნიჟარებისგან გაკეთებულ უსახურ ნივთებს.

ლუქსორში დავათვალიერეთ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2500 წელს აშენებული კარნაქსის ტაძარი, რომელიც დაფარული ყოფილა ქვიშით და მე-18 საუკუნეში გაუთხრიათ. აუშენებიათ მზის ღმერთის „ამონის“ საპატივსაცემოდ.

ფარაონ რამზეს II-ს ჰყავდა 42 ცოლი, 117 ვაჟი და 62 ქალი, გარდაიცვალა 97 წლის ასაკში. ფარაონ რამზეს აკლდამა აშნებულია 3300 წლის წინათ, აშენებდნენ 35 წლის განმავლობაში. მას აქვს გრანდიოზული ჩასასვლელი საფეხურებით, რომელიც ჰგავს თანამედროვე მეტროს ჩასასვლელს. ჭერი თაღოვანია, კედლები მოხატულია რამზეს ცხოვრების ამსახველი ეპიზოდებით. მეცნიერება ფიქრობს, რომ გვირაბის ბნელი კედლები მოიხატა გაპრიალებული ლითონის ზედაპირიდან არეკლილი მზის სხივების ფონზე.

რამზეს მუმია სარკოფაგში არ დაგვხვდა, წაღებული იყო კაიროში. ეგვიპტის ფარაონებიდან სიმდიდრით ყველაზე ცნობილი იყო ტუტან-ჰამონი. იგი მოკვდა 18 წლის. მისი სხეული მთლიანად დაფარულია 110 კგ. ოქროთი,რომელიც ეგვიპტელებს მოჰქონდათ სომალიდან. ფარაონებიდან ყველაზე ძლიერი იყო თუთმოს III. მან დაამარცხა 114 ქვეყანა.

15 ოქტომბერს იმავე დანჯღრეული მატარებლით დავბრუნდით კაიროში, რომელშიც მაშინ 7 მილიონი მცხოვრები იყო და ყოველდღე ჩამოდიოდა ერთი მილიონზე მეტი ტურისტი. კერძო იყო ყველაფერი: უზარმაზარი მაღაზიები, სასტუმროები, იყიდებოდა ყველანაირი ტრანსპორტი, როგორც სახმელეთო, ისე საჰაერო და საზღვაო, საავადმყოფოებიც, ძირითადად, კერძო იყო, მაგრამ იყო მთავრობის დაქვემდებარებისაც. გიდს ვთხოვე, ეჩვენებინა რომელიმე, რაც ძალიან მაინტერესებდა. მან კი მითხრა, კერძოში არ შეგიშვებენ, მთავრობისა კი ღარიბებისაა და იქ შესვლა არ ღირსო.

ქალებს ეცვათ შავი სამოსი და თავზეც ეხურათ შავი ჩადრი. მე მეგონა, მგლოვიარეები იყვნენ, მაგრამ გიდმა ამიხსნა, რომ ეს უბრალო ქალების ნაციონალური საცმელიაო. კაცებს კი ეცვათ გრძელი, კოჭებამდე პერანგისნაირი საცმელი, ფეხზე კი ხის ქოშები ან არაფერი, ბავშვები ფეხშიშველები, პატარა ტრუსების ამარა დარბოდნენ და მათხოვრობდნენ. ფასები თითქმის ყოველდღე იცვლებოდა, დამოკიდებული იყო 1 კგ ცხვრის ხორცის ფასზე. ფასებს ოქროსას, პროდუქტებისას და კიდევ ბევრი სხვა რამისას, ყოველდღე აცხადებდნენ რადიოთი.

დავათვალიერეთ ის ადგილი (სარდაფი, რომელსაც ჩასასვლელი ქვის საფეხურები აქვს), სადაც თავს აფარებდა ღვთისმშობელი მარიამი 3წლის იესოსთან ერთად, როდესაც გამოიქცა პალესტინიდან, ეს იყო I საუკუნეში, ხოლო V საუკუნეში ამ ადგილს დააშენეს ტაძარი, XI საუკუნეში კი გაუკეთეს რესტავრაცია და დაარქვეს „სერგეის“ ტაძარი, სადაც ყოველ კვირა ტარდებოდა წირვა, ნათლავდნენ ბავშვებს და ტარდებოდა საეკლესიო რიტუალები. იქვე იყო ებრაელების სინაგოგა, (მისი დათვალიერებისათვის მსახურმა გასამრჯელო მოგვთხოვა) იგი აშენებულია 1900 წელს-ჩვენს წელთაღრიცხვამდე. კაიროში მაშინ იყო 1000 -მდე მეჩეთი, თავისი მინარეთებით და მასთან არსებული დაწყებითი სკოლებით. ვნახეთ უზარმაზარი მეჩეთი, რომელსაც 18 წელი აშენებდა მუჰამედ ალიფაშა. იგი იყო ალბანელი, დასაფლავებულია ამავე მეჩეთში, რომელშიც არ შეგვიშვეს ფეხსაცმელებით, შესასვლელში მომსახურე პერსონალმა თვითონვე დაგვხადა. მეჩეთის იატაკი დაფარულია უზარმაზარი უძვირფასესი ხალებით, განათებულია უძვირფასესი ჭაღებით. მუჰამედს ძალა-უფლება და ფაშობა მოუპოვებია მამლუქების საშუალებით.

აქვეა მისი უზარმაზარი სასახლის ნანგრევები. მას სასახლეში მოუწვევია 500 მამლუქი, (რომლებიც წარმოშობით იყვნენ ქართველები და ყაზახები) ისინი ერთიანად ამოუხოცია (მხოლოდ ერთს მოუსწრია გაქცევა) მას ეგონა, რომ, როგორც მამლუქებმა მოაპოვებინეს ძალაუფლება, ისევე მამლუქები წაართმევდნენ.

დავათვალიერეთ ეგვიპტის ნაციონალური მუზეუმი, რომელიც დაარსებულია 1901 წელს მარიტ ფაშას მიერ. (იგი იყო ფრანგი)

ვნახეთ 2500 წლის წინანდელი პაპირუსები. მეცნიერებას ეხლაც ვერ ამოუხსნია ის საიდუმლოება, როგორ შეინარჩუნეს პირვანდელი სახე პაპირუსებმა. ვნახეთ მუმიები: კაცის, ბავშვის, ნიანგის, მაიმუნის. ქალის მუმიას ქუთუთოებზე წასმული ჰქონდა ლურჯი საღებავი, (რაც ეხლა მოდაშია) მაგრამ ათასწლეულების მანძილზე საღებავს ფერი არ ჰქონდა შეცვლილი.

ძლიერი სიცხის გამო, კაიროში ყველაფერი იწყება საღამოთი, ვაჭრობა და სხვა პროცედურები. ერთ საღამოს ბატონმა ნიკამ მითხრა: შვილო, გულო, (ასე მომმართავდა) წავიდეთ, ქეთოს (მეუღლეს) ვუყიდოთ რამეო. არ წამოვალ, სტეფანიჩ! რას ქვია ქეთო, როცა სახლში ახალგაზრდა რძლები გყავს!– გავაპრტოტესტე მე. მან ამიხსნა, რომ ამ თანხით ორივეს წესიერი არაფერი მოუვათ, იმათ ოდესაში ვუყიდიო. (სულ გადაგვიცვალეს 35 მანეთი, 30 მანეთის მაგიერ მოგვცეს 18 ფუნტი, 5 მანეთის შესაბამისი კი თურქული ფული) გავედით ქალაქში და მაღაზიაში შევარჩიე ჩვენი თანხის შესაბამისი ოქროს ლამაზი ბეჭედი. გამყიდველმა ჩაავლო ხელი ბატონ ნიკას მაჯის საათს, ხელს აღარ უშვებდა და გვანიშნებდა, საათი მომეცით და ბეჭედს მოგცემთო. ბატონმა ნიკამ თქვა: რას ჩამაცივდა ეს მამაძაღლი, მთავრობის ჯილდოა და ამას როგორ მივცემო. გამყიდველს ვუთხარი, ეს ბრეჟნევ „ბახშიშ“- მეთქი. არა მგონია, იმას სცოდნოდა, ვინ იყო ბრეჟნევი, მაგრამ მიხვდა, რომ საათს არ დავთმობდით და ბეჭედი ფულზე მოგვყიდა.

მეორე საღამოს ბატონმა ნიკომ (მამაიაშვილმა) მთხოვა, წავიდეთ, რამე მაყიდინე, ამათ ფულს სახლში ხომ არ წავიღებო. გადავწყვიტე, ჭაღი გვეყიდა, მაგრამ, რასაც ვაჩვენებდი, ყველაზე იძახდა, ესეთი მგონი გვაქვსო. ბოლოს მაინც ჭაღი ვიყიდეთ და ჩემთვისაც შევიძინე 15 სანთლიანი ჭაღი, რომელიც წლების შემდგ ჩვენს სახლში გაჩენილმა ხანძარმა შეიწირა. ქალბატონმა ზაირამ, ჩემი დახმარებით შეიძინა ლამაზი საკაბე და სხვა წვრილმანი, მომავალი რძლისათვის.

კაიროში, უდაბნოში არის მკვდრების ქალაქი „მემფისი“, სადაც მარტო პირამიდები და სფინქსებია, რომლებსაც აქვთ ადამიანის თავი და ცხოველის სხეული. სფინქსის პირველი ქანდაკება შექმნილია ჩვ.წელთაღრიცხვამდე 2800 წელს.

ვნახეთ ფარაონ ეხნატონის სარკოფაგი, ის იყო ხის, მაგრამ მოოქროვილი, შიგ იწვა თვითონ ეხნატონის მუმია. საფლავი შედგებოდა 3 ოთახისაგან: დედის, მისი და ცოლის. დავათვალიერეთ ფარაონების ნივთები, სუფთა ოქროთი დამზადებული.

მოვინახულეთ ხეოფსის გრანდიოზული პირამიდა, რომელიც აშენებულია 9800 წელს ჩვ. წელთაღრიცხვამდე. მისი სიმაღლე 183 მეტრია. ქვების სიმძიმე 6 მილიონი ტონაა, ქვების ზედაპირი გლუვია („გაშლიფოვკებულია“) ერთმანეთზე დაწყობილია კუბიკებივით, (ყოველგვარი სამშენებლო ხსნარის გარეშე) ისე, რომ კეთდება საფეხურები და მასზე ასვლა შეიძლება ნებისმიერი მხრიდან, ნებისმიერ სიმაღლეზე. აქვს ოთხწახნაგა კონუსის ფორმა და უკავია 0,42 ჰა ფართობი. მეორე პირამიდა არის ხეოფსის შვილის- ხეფრინის, რომელიც შენდებოდა 25 წელი.

მესამე მიკერუსის პირამიდას ჰყავდა დაცვა, მას აჩვენებდნენ მხოლოდ საპატიო სტუმრებს, მეფეებსა და პრეზიდენტებს. დავათვალიერეთ სფინქსების ქანდაკებებიც. ერთ საღამოს წაგვიყვანეს ღამის კლუბში, სადაც ზანგები ასრულებდნენ ჯაზურ მუსიკას და მღეროდნენ თავიანთი მძლავრი ხმით. მათი სიმღერის ფონზე დაიწყო აღმოსავლური (მუცლით) ცეკვა გამჭვირვალე სამოსში გამოწყობილმა ქალმა. ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ მითხრეს, იოსებ სუარიძე (ქვ.ქედის საბჭოს თავჯდომარე) არის ავადო.

რას ვიზამდი, ჩვენივე ავტობუსით წამოვედით სასტუმროში. თან გამოგვყვნენ ბატონი არსენა, ქალბატონები -ნინა და ზაირა. ჩემი პროფესიის გამო, მქონია შემთხვევა, ლხინიც მიმეტოვებინა და სანახაობაც, მაგრამ, მაშინ ძალიან დამწყდა გული, ამისთანა რამეს ხომ ვეღარასოდეს ვნახავდი.

ერთი დღეც თავისუფალი გვქონდა. მე შევთავაზე ჩვენებს, რომ ქალაქი დაგვეთვალიერებინა. ბატონმა ნიკომ კი მითხრა: რას ფიქრობ, 7 მილიონიან ქალაქში რომ დავიკარგოთ, ენა ჩვენ არ ვიცით და ესენიც ვერ მოგვიკითხავენო. ჩვენს სასტუმრო „კლეოპატრასთან“ იყო ტრამვაის გაჩერება. ვთქვი, რომ წავიდეთ ტრამვაითი ბოლომდე. ჯერ ერთი მხარე დავათვალიეროთ და ტრამვაიდან არ ჩამოვიდეთ, უკან რომ მობრუნდება, მერე მეორე მხარეც და ჩამოვიდეთ ისევ სასტუმროსთან- მეთქი. დამიჯერეს და წავედით, უკან მობრუნება დაემთხვა მათი ლოცვის დროს. ახლომდებარე მეჩეთში იმდენი მლოცველები იყვნენ, რომ მათ ტრამვაის ხაზიც დაეკავებინათ. არაბები ლოცულობენ დღეში 5- ჯერ ერთსა და იმავე დროს, ყველა განურჩევლად, სოციალური მდგომარეობისა, მინისტრია თუ მათხოვარი. მათ თან დააქვთ პირსახოცის მსგავსი დასაფენი და ლოცვის დრო სადაც მოუწევთ, იმ მეჩეთში ან მიმდებარე ტერიტორიაზე ლოცულობენ.

მიუხედევად ლოდინისა, ჩვენებმა მადლობა გადამიხადეს ქალაქის დათვალიერებისათვის.

17 ოქტომბრის გავემგზავრეთ კაიროდან ალექსანდრიაში. 331 წელს ალექსანდრე მაკედონელმა თურქებისა და ბერძნების ჯარით დაიპყრო ეგვიპტე. ახლანდელი ალექსანდრიის ადგილას იყო მეთევზეთა სოფელი. მაკედონელს მოეწონა ეს ადგილი, აქვე დააარსა ქალაქი, რომელსაც თავისი სახელი უწოდა. შემდეგში აქ დააარსეს

(დასასრული გვ.8)

ნაკვეთებში უკანონო ძოვების საკითხი, კანონპროექტის დროულად ძალაში შესვლას მოითხოვს

ცნობილია, რომ ჩვენი რაიონი საძოვრების ყველაზე დიდ ტერიტორიებს მოიცავს და შირაქში არამარტო ჩვენი, არამედ კახეთის რამდენიმე რაიონის საქონელიც იზამთრებს. აქედან გამომდინარე, მარცვლეული კულტურის მოყვანით დაინტერესებული გლეხისთვის თუ მსხვილი ფერმერისთვის მუდმივ პრობლემას წარმოადგენს სხვისი საქონლის მათ ნაკვეთებში შეჭრის საკითხი. წლევანდელმა გვალვამ და ბალახის ფიზიკურად მოსპობამ, ეს საკითხი კიდევ უფრო მეტი სიმწვავით დააყენა რაიონის მაცხოვრებლების წინაშე. მოუსავლიანობით და გვალვებისგან განადგურებული ფერმერები მათ ნაკვეთებში საქონლის ჯოგების შეჭრამ აშკარად გამოიყვანა მდგომარეობიდან. გამწარებული გლეხი ამ პრობლემამ კიდევ უფრო ააღელვა, რასაც მათი მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულება მოჰყვა. —„მთელი შირაქის ნაკვეთები გადაშავებულია საქონლით, იმდენი საქონელია, რომ ფეხს ვერ აუქცევთ, იორმოცლანლოელ თათრებს თავხედურად ჩვენს ნაკვეთებში შეჰყავთ საქონელი და თუკი რამ ნარჩენია, დაატარებენ გამოსაკვებად. ამჯერად, ნათესი ჯერ არაა ამოსული, ამიტომ ეს პრობლემა ისე მწვავედ არ დგას, მაგრამ როცა ჯეჯილი ამოვა, მაშინ კი მართლაც ძალიან არასასიამოვნო დღეები გველის. მიუხედავად წლევანდელი მცირემოსავლიანობისა, წელს მაინც გავიჭირვეთ და გარკვეულ ფართობებზე მარცვლეულის დათესვა კიდევ გავბედეთ, მოლოდინი გვაქვს, ღმერთის ნებას შევყურებთ, იქნებ კარგი მოსავალი იყოს, მაგრამ ის, რაც წელს შირაქის ნაკვეთებში მოხდა, იგივეს არცერთი ფერმერი აღარ მოვითმენთ. დროა, ნაკვეთებში საქონლის შეჭრაზე ჯარიმები გამკაცრდეს და კანონი ამოქმედდეს. ბოლოს და ბოლოს, ვინ აპატიებს, მოსავალი სხვის საქონელს შეაჭამონ და თავად ცარიელზე დარჩნენ, თუმცა, ამ საქმეს ახლავე თუ არ მიეხედა, გაზაფხულზე თავში ცემა გვიან იქნება. გთხოვთ, ეს საკითხი არ დატოვოთ უყურადღებოდ და ფართოდ გააშუქეთ გაზეთში, რომ როგორმე რაიმე შედეგს მივაღწიოთ!“-აცხადებენ ჩვენთან საუბარში ჩვენი ფერმერები.

აღნიშნული საკითხი, დამეთანხმებით, ბევრი დედოფლისწყაროელის გულისტკივილია. ეს წლობით მოუგვარებელი პრობლემაა და ყველას სურვილია, მის მოგვარებას საშველი დაადგეს. საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ის კანონპროექტი მოვიძიეთ, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულ სამსახურში ორიოდ წლის წინ ბატონი გოგი გონაშვილის მიერ იქნა შემუშავებული. ეს გახლავთ კანონპროექტი "საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებისა და ცვლილების შეტანის შესახებ". „მუხლი 1055 . ფიზიკური და იურიდიული პირების ნათესების დაზიანება. მინდვრად არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების, აღებული მოსავლის, დასაწნეხი ნამჯის, ზვინების გაფუჭება ანდა განადგურება, სასოფლო სამეურნეო კულტურების ნათესების დასაცავად გაშენებული ნარგავების დაზიანება ანდა განადგურება პირუტყვის ან შინაური ფრინველის მიერ გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას 500(ხუთასი) ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის ან იარაღის კონფისკაციით ან მის გარეშე.

2. იგივე მოქმედება ჩადენილი განმეორებით

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 (ათასი)ლარის ოდენობით....“ და ასე შემდეგ. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ეს იმ კანონპროექტის მცირე ამონარიდი გახლავთ, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის იურიდიულმა სამსახურმა შეიმუშავა და გადაუგზავნა გუბერნიას, საიდანაც ჩასწორებული ვარიანტი დაბრუნდა. ამჯერად კანონპროექტი განსახილველად პარლამენტშია წარდგენილი, სადაც ის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ განხილვის და დამტკიცების მოლოდინშია. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება აღნიშნული კანონი ძალაში, რომლის ამოქმედების შემდეგ ჩვენი მუნიციპალიტეტი, კერძოდ კი მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური იხელმძღვანელებს.

როგორია ამ ეტაპზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის მუშაობა სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებში საქონლის შესვლასა და უკანონო ძოვებასთან დაკავშირებით, რამდენად ებრძვის ეს სამსახური ამგვარ ქმედებებს კანონპროექტის ძალაში შესვლამდე, რით ახერხებს ამ კუთხით საქმის რეგულირებას?!- ამ კითხვებით ჩვენ გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის ახალ უფროსს ვაჟა თეთვაძეს მივმართეთ და ვესაუბრეთ.

- ბატონო ვაჟა, ფერმერები სახნავ- სათეს ნაკვეთებში სხვისი საქონლის უკანონო ძოვებას აპროტესტებენ, რამდენადაც ვიცით, ამ საკითხის დარეგულირება თქვენი სამსახურის პრეროგატივაა, ისიც ცნობილია, რომ ამ კუთხით საკმაოდ დატვირთულად მუშაობთ, ხშირად ახორციელებთ რეიდებს, უფრო კონკრეტულად, რა სამუშაოებს ახორციელებს ზედამხედველობის სამსახური ამ მხრივ და რა შედეგი გაქვთ?

- პრობლემა მართლაც არსებობს და ამ საკითხს კანონის მთელი სიმკაცრით უნდა მივუდგეთ, მაგრამ იმისთვის, რომ პირუტყვის უკანონო ძოვებისთვის კანონის მთელი სიმკაცრით დავსაჯოთ ისინი, უპირველეს ყოვლისა, უნდა არსებობდეს კანონი, რომელიც ჯერ-ჯერობით მხოლოდ პროექტის სახითაა და პარლამენტის მიერ არაა დამტკიცებული. ფაქტიურად, ჩვენ, კანონის არარსებობის პირობებში, ვერანაირ ბერკეტს ვერ ვიყენებთ, ჯარიმა ამ კუთხით შეზღუდულია. ერთადერთი, რაზეც ჯარიმები კანონიერია, გახლავთ ის, რომ ქარსაფარ ზოლებში საქონლის ყოფნა, ქარსაფარის განადგურება-გაჩეხვა-ძოვება დასჯადია და ჯარიმას ექვემდებარება. ამ კუთხით უკვე დაფიქსირებული გვაქვს 12 ასეთი შემთხვევა, ერთი ჯარიმა უკვე მეორადი ჯარიმა გახლავთ, ხოლო დანარჩენი 11 რამდენიმე დღეში სასამართლო პროცესის მოლოდინშია. შედეგი ის გახლავთ, რომ გასულ კვირას ზედამხედველობის სამსახურის ბოლო რეიდისას, მინდორში ფიზიკურად ვერ ნახავდით ვერცერთ საქონელს, არ ვიცი ეს დამთხვევა იყო, თუ არა, მაგრამ, მე მგონია, რომ ჩვენმა მუშაობამ ეფექტი გამოიღო.



მინი დოსიე: ვაჟა თეთვაძე დაიბადა 1962 წლის 14 მარტს, ქალაქ წითელწყაროში. 1979 წელს დაამთავრა სოფელ ხორნაბუჯში არსებული რუსული საშუალო სკოლა, რის შემდეგაც სწავლა გააგრძელა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ქალაქ თბილისში დაჰყო და მუშაობდა დისპანსერიის განყოფილებაში. გახლავთ მაშინდელი შრომის წითელორდენოსანი. ამავე დროს გავლილი აქვს ხუთწლიანი სამხედრო კათედრა და არის ოფიცერი. გარკვეული წლები რუსეთში ცხოვრობდა და სამედიცინო სფეროში მუშაობდა. 2012 წლის დეკემბრიდან იგი დედოფლისწყაროს სამხედრო აღრიცხვისა და სავალდებულო გაწვევის სამსახურის უფროსად ინიშნება, სულ რამდენიმე თვეა, იგი ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსია. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

- საინტერესოა, აღნიშნული თორმეტი შემთხვევიდან რამდენი გახლდათ აზერბაიჯანელი ეროვნების მოქალაქე და რამდენი ქართველი?

- ისინი ყველა საქართველოს აზებაიჯანელი ეროვნების მოქალაქეები არიან, არც ერთი არაა ქართველი.

- ანუ, თქვენ ამბობთ, რომ სახნავ -სათეს ნაკვეთში დაუკითხავად შესული სხვისი საქონელის ნახვის შემთხვევაში, არ გაქვთ დაჯარიმების უფლება?

- დიახ, ამის უფლება კანონის მიღებამდე და მის ძალაში შესვლამდე არ გვაქვს. ამგვარი ფაქტების აღმოსაფხვრელად ჩვენს სამსახურს რაც შეუძლია, ის გახლავთ, რომ მივდივართ, ვაფრთხილებთ საქონლის პატრონს და მოვითხოვთ, რომ სასწრაფოდ, ჩვენივე თანდასწრებით გამოიყვანოს საქონელი ადგილიდან. სამწუხაროდ, კანონის მიღებამდე ასე გვიხდება საქმის მოგვარება. თუმცა, ეს საკითხი, რაღა თქმა უნდა, ბოლო დროს ძალიან მტკივნეული გახდა ადგილობრივებისთვის. საქონლის მეპატრონეებს მართლაც ზედმეტი მოსდით.

- რაც შეეხება ქარსაფარ ზოლებს, აქ საქონლის ძოვების ნახვის შემთხვევაში რამდენით ჯარიმდება საქონლის მეპატრონე, რა პროცესი ვითარდება დაჯარიმებამდე და მის შემდეგ?

- ქარსაფარ ზოლში პირუტყვის ძოვების, გაჩეხვის ან გადაწვის შემთხვევაში საქონლის მეპატრონეს პირველ ეტაპზე ვაჯარიმებთ 500 ლარით, ხოლო განმეორებითი ქმედებისას-1000 ლარით. ეს საკმაოდ ხანგრძლივი გზაა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვთანამშრომლობთ პოლიციასთან, ყოველთვის მივდივართ პოლიციის წარმომადგენლის თანხლებით, რადგან მათი დახმარება ხშირად აუცილებელიცაა. დაფიქსირებული შემთხვევებიდან ყოველი მათგანი აზერბაიჯანელია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობს და მუშაობს მწყემსად, ისინი ხშირად პირადობის მოწმობებს არ იძლევიან, რათა დავადგინოთ მათი გვარი და სახელი, პოლიციის სპეციალური ქსელის მეშვეობით კი ხდება პირის ვინაობის დადგენა და შემდეგ ვაჯარიმებთ.

- თუ უკანონო ძოვებამ ზღვარს გადააჭარბა და ნაკვეთის მფლობელმა მოგმართათ განცხადებით, რომელიც ამავდროულად თანახმაა, უჩივლოს მწყემსს, მაშინ რა პროცესი ვითარდება.

- განცხდებები, რომლებიც ჩვენთან შემოდის, თითქმის ამ შინაარსისაა, ძირითადად სწორედ ამგვარი უკანონო ძოვების საკითხით შემოიფარგლებიან, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვახორციელებთ გასვლით ღონისძიებებს და თუ ადგილზე მართლაც აღმოვაჩინეთ საქონელი, ჩვენს მიერ დანაშაულის დაფიქსირების შემდეგ, ადგილზე ჩადის აუდიტის სამსახური, რათა შეაფასოს მიყენებული ზარალის ოდენობა მოსავლის აღების შემდეგ და ამ მასალების საფუძველზე მიმართავს დაზარალებული სასამართლოს.

- ბატონო ვაჟა, ზედამხედველობის სამსახურის მოვალეობაში კიდევ უამრავი სხვა ფუნქციაც შედის, კონკრეტულად რომ გვითხრათ, რა სახის დარღვევები შედის თქვენი სამსახურის კომპეტენციაში?

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, კერძოდ, უკანონო მშენებლობები, ან ნებართვის გაცემის ვადაგადაცილებები, უკანონოდ ნაგვის დაყრა, სამშენებლო ნარჩენების დიდხანს გზებზე დატოვება, მანქანების არასწორად პარკირება, რომელიც საფრთხეს უქმნის ქალაქის უსაფრთხო და კომფორტულ მოძრაობას, განსაკუთრებით სატვირთო ავტომანქანების არასწორი დგომა ან მოძრაობა, მინდვრად ქარსაფარ ზოლებში უკანონო ძოვება, ქარსაფარი ზოლების განადგურება, გაჩეხვა, ყველა ეს იმ ნუსხათა ჩამონათვალია, რომელთა გამოვლენა და დაჯარიმება ჩვენი ზედამხედველობის სამსახურის კონპეტენციაა.

- წლების მანძილზე დღის წესრიგში იდგა სკვერებში პირუტყვის შეჭრის საკითხი, რომლის რეგულაციას სწორედ ზედამხედველობის სამსახურს ავალებდნენ, ამჯერად თუ არის ეს საქმე თქვენს მოვალეობაში?

- კი, ასეთ შემთხვევებს ასევე რეაგირება უნდა მოჰყვეს, პირველ ეტაპზე მეპატრონეს ეძლევა გაფრთხილება, ფაქტის გამეორების შემთხვევაში, პირუტყვის პატრონს 20 ლარიანი ჯარიმა ეკისრება, ხოლო თუ პატრონი ვერ გავარკვიეთ, წესით უნდა არსებობდეს საქონლის დროებით მოსათავსებელი ადგილი, სადაც მოხდება პირუტყვის დაკავება, რომელსაც ვუშვებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც პატრონი ბანკში ჯარიმის გადახდილი ქვითრით ხელში მობრძანდება. თუმცა, ჩვენ პატარა რაიონის მკვიდრნი ვართ, ყველა ერთმანეთს ვიცნობთ და ხშირად ასეთი მკაცრები არ ვართ. ამ მხრივ, მე თხოვნა მექნება ჩვენს მოსახლეობასთან, ნუ გამოუშვებენ საკუთარ საქონელს ქუჩაში უყურადღებოდ, გამოიჩინონ კეთილი ნება და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება, რათა აღარ მოგვიხდეს ჯარიმების წერა, რაც ხშირ შემთხვევაში ისევ მათ განაწყენებას იწვევს. ჩვენი თვითმიზანი კი, ჩვენი მოქალაქეების ჯარიმებით განაწყენება ნამდვილად არ გახლავთ!

მართალია, ზედამხედველობის სამსახურის ხშირმა გასვლითმა ღონისძიებებმა მინდვრად უკვე შედეგი გამოიღო, მაგრამ იმასაც ვერ უარვყოფთ, რომ ეს პრობლემა თავს მუდმივად შეგვახსენებს. სწორედ ამიტომ იმედს ვიტოვებთ, შირაქში ძოვებასთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან პარლამენტში გაგზავნილ კანონპროექტს(კანონში შეტანილი ცვლილება) ყურადღება მიექცევა და საქართველოს პარლამენტის მიერ მალე დამტკიცდება. რაც საბოლოო ჯამში კანონიერ უფლებას მოგვცემს ერთხელ და სამუდამოდ დასჯადი გახდეს ნაკვეთებში დაუკითხავად საქონლის შეყვანა-ძოვება, ამით კი საბოლოოდ მოგვარდება აღნიშნული პრობლემა.

ლალი მეხრიშვილი

P.S. დღეს 10 ოქტომბერია. პირადად გახლდით შირაქში, მთელი დიდი შირაქი, ნაზარლების ნაწილი და პატარა შირაქის გადასახედი სულ მოვიარე და... ვწუხვარ, რომ ფოტოაპარატი არ მქონდა თან, ჩემი მობილური კი იმდენად მარტივია, რომ სურათებს არ იღებს. ამიტომ ფაქტები ვერ დავაფიქსირე. მინდა, გულისტკივილით გითხრათ, რომ გამოამინდებისთანავე ნაკვეთები ისევ სავსეა საქონლით. და არა მარტო დასამუშავებელი ნაკვეთები, დასათესად გამზადებული, ან და უკვე დათესილი ფართობებიც, საქონლის ნაფლოქვარებით არის გადათქერილი. ქარსაფარი ზოლები კი გადამწვარია, ახლადჩაყრილი ნერგების პლასტმასის საფარები დამწვარ-დამტვრულია და შიგ უამრავი საქონელია, რომელიც გადამწვარ ქარსაფარში ახლადამობიბინებულ მწვანე ბალახს ნება-ნება შეექცევა. ამ საკითხზე წლებია, რაც ვწერ და მოვუწოდებ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, რომ უფრო ქმედითი გახადონ საქმიანობა და გააყვანინონ საქონელი შირაქიდან ყველა მეპატრონეს, რადგან შირაქში საძოვარი თითქმის არ არის. ვეცადოთ, ხმა მივაწვდინოთ პარლამენტს დააჩქაროს წერილში აღნიშნული ცვლილების რატიფიცირება. ცხადია, სისტემატიური კონტროლის რეჟიმში ერთხელ და ორჯერ 500 და 1000 ლარით რომ დაჯარიმდება მესაქონლე, თავადაც აღარ შეუშვებს საქონელს და წავა იქ, სადაც უსაფრთხოდ ძოვების უფლება ექნება.

ნარა გოგრაშვილი

ია, ჩვენი დედაენის თავფურცელსა ჰქვია!

N1 საჯარო სკოლის პირველ ბ კლასში დიდი საზეიმო სამზადისია. პედაგოგ მარინა ინასარიძის კლასში წელს 36 მოსწავლეა, რატომღაც ასე მოხდა, მშობლების უმრავლესობამ აქეთ გადმოწონა და ამ პედაგოგზე, როგორც ყოველთვის, წელსაც ძალიან მაღალი მოთხოვნა გახლდათ. ამიტომ, მის ზეიმზე მოწვევას სიამოვნებით ვთანხმდები და დიდი გულისყურით ვუცქერ, მსურს დროზე დაიწყოს და შევაფასო, თუ როგორი იქნება მის მიერ ჩატარებული ღია გაკვეთილი, მისი გადმოცემული "აი იას", როგორც თავად უწოდებს -ანის და ინის ახსნა. საკლასო ოთახში სწორ მწკრივზე განლაგებულ მერხებზე ულამაზესი ლურჯთვალა „იები" და თეთრგულა, შავფრთიანი „მერცხლები" ისე კოხტად და ლამაზად ზიან, თავად პედაგოგიც ვერ სწყვეტს თვალს. ლამაზად გადავარცხნილი თმები და ამდენი ანთებული, გაცისკროვნებული თვალები, ლამაზი ია, ვარდებით მორთული კლასი, ყველაფერი ერთობლიობაში ერთ დიდ ზღაპრულ სამყაროს ჰგავდა, რომლის აღქმაც არასოდეს დაავიწყდებათ და მთელი ცხოვრება ემახსოვრებათ აღსაზრდელებს.

მოულოდნელად მასწავლებელმა სიჩუმე მოითხოვა და კომპიუტერში ჩიტების გალობა ჩართო, მერე ფეხაკრეფით მივიდა საკლასო ოთახის კარებთან და ძალიან დიდი სითბოთი და სიყვარულით წარმოსთქვა: ყური უგდეთ, ბავშვებო, რა ლამაზად უსტვენენ ჩიტები, მალე კარები გახსნა და იქიდან გაზაფხულის მახარობელი ჩიტი -ანა ჩიტიშვილი შემოფრინდა, ბავშვებმა ერთხმად შეუძახეს -„ჩიტო, ჩიტო, ნაცარა, ვის უგალობ, ვისა?"- მერცხალმა გალობით უპასუხა: -„შენ გიგალობ პატარავ, დილა მშვიდობისა!" ოთახში მზე, გიორგი ღვედაშვილი შემოდის და ისიც მღერის-„შენ გიცინი პატარა, დილა მშვიდობისა!" გარდა ამ ყველაფრისა, ის, რომ გაზაფხულზე ია ამოდის, ბუნება იღვიძებს და ლამაზ მწვანე სამოსს იცვამს, ეს ყველაფერი ბავშვებს უკვე ამ სამი კვირის მანძილზე შეუსწავლიათ და სიტყვებითა თუ ლექსებით, მხატვრულად გადმოგვცეს. ისიც იცოდნენ, თუ რა ჰქვია ჩვენს ქვეყანას, რომელია საქართველოს კუთხეები, ჩვენ რომელ კუთხეში ვცხოვრობთ,

ვინ იყვნენ ჩვენი დიდი წინაპრები, რომელმა ქართველმა მეფემ შემოიღო ქართული დამწერლობა და რომელმა ქართველმა მეფემ დაამკვირდა საქართველოში ქრისტიანობა ეროვნულ სარწმუნოებად. მალე შემოდგომა მოდის, ხვავიანი, ბარაქიანი და მადლიანი. შემოდგომის ხსენებაზე ჩვენი მერცხლები(ბიჭუნები) თემას დაუკავშირეს პატარებმა და მარინა მასწავლებელმა სიმღერა:

„ჩვენს საქართველოს ვუმღეროთ,
მუდამ მზიანს და მადლიანს!
ქართულ ზეცას და ქართულ მზეს,
ქართულ მიწას და ქართულ ცას!"

შემდეგ განიხილეს წინადადება, რას გადმოგვცემს წინადადება, რამდენი სიტყვა გვაქვს წინადადებაში, რამდენი მარცვალი და რამდენი ასო ბგერა. კითხვებზე სრულყოფილი პასუხის გაცემით გამოიკვეთნენ აქტიური ბავშვები -მარიამ ტოკლიკიშვილი, ქეთი მეხრიშვილი, ანა ჩიტიშვილი, ლუკა მენთეშაშვილი, ზუკა ძნელაშვილი და გიორგი ღვედაშვილი.

დასასრულს მარინა მასწავლებელმა გასაღები აიღო ხელში, რომელზეც "აი ია" ეწერა და "აი იას" ოქროს გასაღებით ცოდნის სამყაროში შესასვლელი მატარებლით მივიდნენ ულამაზესი სკივრის გასახსნელად. სკივრში ოქროსფერად მოხატული ასოები ა და ი აღმოჩნდა. რომლის შემდეგაც დაფაზე ცარცით ულამაზესი ია იწერება. ის ი და ა, რომლის შემოხაზვაც არასოდეს დაავიწყდებათ პირველკლასელებს. დაფაზე გაკრულია უდიდესი იებით და ასოებით მოხატული ფურცელი, რომელიც დედაენის პირველი ფურცლის ასლია. აქ რამდენიმე პირველკლასელი მორიგეობით გამოვიდნენ და ახლადშესწავლილი ასოები წაიკითხეს.

ეს ბავშვურად ლაღი, ხალასი, მაგრამ უდიდესი შემეცნების დღე, რომელიც მოკლებული იყო ყოველგვარ შენიღბვას და ფამილარობას, მხოლოდ დადებით ემოციებს იწვევდა, რომელსაც შიგადაშიგ ძალიან ავსებდა და ალამაზებდა მარინა მასწავლებლის ლექსები, ბავშვებთან ერთად შესრულებული სიმღერები და ხელებით ბავშვური თამაში. გაკვეთილი მთლიანობაში იყო ვიზუალურად ლამაზი, თემატურად გამართული და შეკრული, სადაც ერთი თემიდან მეორეზე გადასვლა სავსებით დიდი ოსტატობით იყო გაკეთებული და ბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, ამ გაკვეთილში პედაგოგისგან იგრძნობოდა ის დიდი სითბო და სიყვარული, რომელიც ნამდვილად სჭირდება სამომავლოდ მოსწავლესა და პედაგოგს შორის სიყვარულის ხიდის გადებას.

-„ადამიანი ცხოვრებაში ორჯერ იბადება, ერთხელ მაშინ, როცა ამქვეყანას მოევლინება და მეორედ მაშინ, პირველად დედაენის "აი იას" რომ შეისწავლის. დღეს თქვენი მეორედ დაბადების დღეა ბავშვებო, გილოცავთ ამ ბედნიერ და მნიშნელოვან დღეს, ძალიან მინდა, რომ თითოეული თქვენგანი ღირსეული სწავლით გამოადგეთ ქვეყანას!"- ასე დალოცა მარინა მასწავლებელმა პირველი საჯარო სკოლის პირველი ბ კლასელები და სამახსოვრო ბარათებისა და ფოტოების გადაღებით ორიოდ დღით დაემშვიდობა.

ლალი მეხრიშვილი

დედა ენა ერის სიცოცხლეა...

იაკობ გოგებაშვილი ამბობდა:"დედა ენის "არსებობა ენის არსებობას ნიშნავს, ენის სიცოცხლე ერის სიცოცხლესო" და ამისათვის სიცოცხლის ფასად იბრძოდა იგი იმ დროს, როდესაც საქართველოს სკოლებში ქართული ენის ხსენება აკრძალული იყო, როდესაც არისტოკრატიას ქართულად ხმის ამოღება ერცხვინებოდა, ინტელიგენცია კი რუსულად აზროვნებდა. ჩვენი სამშობლოს ასეთი ძნელბედობისა და თვითმყოფადობის დაკარგვის პირას, იაკობ გოგებაშვილმა მშობლიური ენის სამყაროში შესაღწევ ჯადოსნურ გასაღებს "აი იას" მიაგნო და წიგნს , რომელიც პირველად 1876 წელს გამოსცა, " დედაენა" დაარქვა. მას თავიდანვე "ვეფხისტყაოსნის" ბადალი უწოდეს. "დედა ენა" საფუძველთა საფუძველია ჩვენი ერის განათლების, ჩვენში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებისა და ჩამოყალიბების პროცესში. "გაგვიძეხ, ბერო მინდიავ, კარს საფრთხე მოგვდგომიაო"-ასე მიმართავდა ქართველთა დაუძინებელ მტრებთან ბრძოლაში გამწარებული იაკობ გოგებაშვილი იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ილია ჭავჭავაძეს.

დიახ, იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას, აკაკი წერეთლის და სხვა პატრიოტ მწერალთა დიდი ღვაწლის შედეგია, რომ ჩვენს ქვეყანას შემორჩა ჩვენი ფასდაუდებელი ეროვნული საუნჯეები, მათ შორის "დედა ენა".

თითქმის საუკუნენახევარია ამ საუნჯეს ეზიარება ქართველი ერი, თითოეული მოსწავლე აქედან იღებს ცოდნის სათავეს და ამის შემდეგ დგება იმ დიდ გზაგასაყარზე, საიდანაც ტემპი, სწორი მიმართულება უნდა აიღოს, რომ ფინიშის ხაზის გადაკვეთის ბედნიერებას ეზიაროს.

საზეიმო განწყობაა N1 საჯარო სკოლის პირველ ბ კლასში.

„აი იას" ღია გაკვეთილს უძღვება მშობლიური ენის მასწავლებელი ზეინაბ პოპიაშვილი, იგი თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე უკვე მეცხრედ, ისეთივე რუდუნებითა და ემოციებით გადასცემს პატარა პირველკლასელებს „აი იას", როგორც მაშინ, პირველად, 33 წლის წინ...

„ჩემო პატარებო, მოდით, დღეს ჩვენს სტუმრებს ვაჩვენოთ, ამ სამი კვირის განმავლობაში რა შევისწავლეთ ამ ცოდნის ტაძარში"- ასე მიმართავს ზეინაბ მასწავლებელი პატარა აღსაზრდელებს და ძალიან შინაარსიანი, ლექსებით, სიმღერებით, ანდაზებითა და ინსცენირებებით გაჯერებული ღია გაკვეთილიც იწყება...

თუ როგორ უნდა ისხდნენ გაკვეთილზე, რა არის ცოდნა, ვინ იყო აიკობ გოგებაშვილი, შოთა, ილია, ვაჟა, აკაკი, რას უმღეროდნენ ისინი, რა არის საქართველო და რა ნაწილებად იქნა დასმული და პასუხებიც მოსწავლეთა მიერ ამომწურავად გაცემული...ვინ ჩამოთვლის პირველკლასელების: ანი და

იყოფა იგი, მისი კუთხეები...ეს იმ კითხვათა მცირე ჩამონათვალია, რომელიც პედაგოგის მიერ ნინო ალუღიშვილების, თათია და გვანცა ბოჭორიშვილების, ირაკლი საბიაშვილის, ანა ბანაშევსკაიას, ერეკლე ბიკაშვილის, გურამ გოგაშვილის, ანა გოგიაშვილის, ლუკა კვანჭილაშვილის, თომა გულაშვილის და სხვათა მიერ წარმოთქმულ ლექსს, სიმღერას თუ ანდაზას, დადგმულ მინიპიესას, რომლებშიც ჩადებულია სამშობლოს სიყვარულის ის ჯერ პატარა მარცვალი, რომელიც თანდათან, წლების განმავლობაში უნდა გაღვივდეს, შემდეგ კი ნაყოფი გამოიბას, ნაყოფი ცოდნის, თავდადების, ერთგულებისა და წარმატების...

„ჩემო პატარებო, გილოცავთ სიბრძნის ტაძარში შემობრძანებას. გისურვებთ, ყოველ დღეს, სკოლის კედლებში გატარებულს, სიხარული და ბედნიერება მოეტანოს თქვენთვის. დაე, თქვენი პირველი ნაბიჯები დიდი წარმატების საწინდარი ყოფილიყოს ცხოვრების გზაზე." -ასე დამოძღვრა გაკვეთილის დასასრულს ზეინაბ მასწავლებელმა სკოლის დიდ კედლებში მოხვედრილი ჯერ ისევ დაბნეული პატარა პირველკლასელები და სამახსოვრო ბარათებითა და ხელნაკეთი იების თაიგულებით დაასაჩუქრა ისინი.

ვუერთდებით პედაგოგების და მოსწავლეების ამაღლებულ განწყობას და გვჯერა, კიდევ მრავალი ნიჭიერი, ღირსეული და საამაყო თაობები გაიზრდებიან ჩვენი სკოლის კედლებში.

ელზა ხარაშვილი

ყველაზე მეტად ის სტკივა, როცა ვინმე სიბრალულით შეხედავს!

მისი ყოველი დილა მშობლებთან ერთად ფუსფუსით და მათი სამსახურში გაცილებით იწყება, შემდეგ თავისი ეტლით გარეთ გაიხედავს, თუ რომელიმე მეზობელი შენიშნა გზაზე, ცდილობს გამოელაპარაკოს. ადამიანებთან ურთიერთობა- მისი სულიერი მოთხოვნილებაა და მათ გარეშე ერთი დღეც არ შეუძლია. მისი გული რომ ადამიანების უსაზღვრო სიყვარულს იტევს, ეს მთელმა რაიონმა იცის. ამბობს, რომ ადრე თავის უმცროსი და-ძმების ცხოვრებით ცხოვრობდა, მათ შეჰხაროდა, აცილებდა სკოლაში და ასე იწყებდა დილას, თუმცა, მას შემდეგ, რაც მისი და-ძმა სტუდენტები გახდნენ, ცოტა მოიწყინა, სიამაყით შეხარის დაიკოს სიგელს და მანიშნებს, რომ ეს ნინოს სიგელია. ახლა, დედის სამსახურში წასვლის შემდეგ, მასთან ქალბატონი მოდის, რომელიც უვლის, ავარჯიშებს და ესაუბრება, ამბობს, რომ მარტოობის შიში აქვს და თუ ვინმე არაა სახლში, თავს ცუდად გრძნობს. მიუხედავად იმისა, რომ მას ხელში ნივთის დაჭერაც კი უჭირს, ჩვენი მოულოდნელი ვიზიტისას გიორგი პირგაპარსული და საკმაოდ მოწესრიგებული დაგვხვდა, მტკივნეული წარმოსადგენია, რომ ის უკვე 27 წლისაა და წვერს დღემდე დედა პარსავს, მაგრამ ეს მისი რეალობაა. ღონისძიებებზე წასვლა და დასწრება მისი ჰობია, თუ გაიგო, რომ ვინმე ჩამოდის ან კულტურის სახლში კონცერტია, სიხარულით მიდის, უფრო სწორად, მშობლებს მიჰყავს. ეკლესიურია და ყოველი კვირის წირვა-ლოცვას ინვალიდის ეტლით დედასთან ერთად ესწრება. გულისტკენა ბევრი აქვს, მათ შორის, ყველაზე მეტად ის სტკივა, როცა ვინმე სიბრალულით შეხედავს, ამას ის არათუ თანაგრძნობად, არამედ გამაღიზიანებლად აღიქვამს და იმ ადგილიდან სასწრაფოდ წასვლას ითხოვს. მოსწონს, როდესაც ისე ღირსეულად მოიკითხავენ, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს და მის ფიზიკურ მდგომარეობას ხაზს არ გაუსვამენ. თუმცა, ისიც იცის, რომ ყველას ამას ვერ მოსთხოვს, ეს ადამიანის შეგნებაზეა დამოკიდებული. მისი სურვილია, ყველა ღონისძიებაზე მიიწვიონ, რომელიც რაიონის ფარგლებში იმართება, თუმცა სამწუხაროდ, თუ თავად არ გაიგო ღონისძიების შესახებ, მას არცერთი ორგანიზატორი არ იწვევს. ოცნებად აქვს გადაქცეული, რომ ინვალიდთა ასოციაციას დაუკავშირდეს, მისი წევრები გაიცნოს, მათთან შეხვედრები და ურთიერთობა ჰქონდეს. კიდევ, ინტერნეტის უქონლობა აწუხებს, სამწუხაროდ, ინტერნეტქსელმა მის სახლამდე ჯერ ვერ მიაღწია!

ალბათ, ყველა მიხვდით, ჩვენი რესპოდენტი გიორგი ხაჩიაშვილია.

- გიორგი, როგორია შენი ერთი ჩვეულებრივი დღე, როგორ იწყება შენი დილა, რას ფიქრობ ხშირად, რა სურვილები გაქვს?!

- „დილა ჩვეულებრივად იწყება, დედა და მამა მაცმევენ, გამოვყავარ ეტლით, ვსაუზმობთ, მერე ისინი მიდიან სამსახურებში, მე ვრჩები ჩემს მომვლელთან ერთად, რადგან სიმარტოვის შიში მაქვს. ყველაზე მეტად რისი გაკეთებაც მიყვარს და მსიამოვნებს, კითხვაა, მიყვარს გაზეთების კითხვა და მუდმივად ვეცნობი პრესას, ყველაფრის მიმართ ყურადღებიანი ვარ, ყველა სიახლეში გარკვეული, დღის ახალი ინფორმაცია არ გამომრჩება, სულ ვეცნობი გაზეთებს, ტელევიზიას, ხალხი მიყვარს და მათთან ურთიერთობა!“- ძლივს, მაგრამ გასაგებად წარმოსთქვამს თავის სათქმელს გიორგი. აშკარად ჩანს, რომ მას გონებრივი შეზღუდვა იმდენად არ აქვს, რამდენადაც მოძრაობა და სიტყვების გამოთქმა უჭირს.

მის დაბადებაზე, სამედიცინო დიაგნოზზე და ბავშვობის წლებზე გიორგის დედა ქალბატონი ნათია გვესაუბრება. -„ მძიმე მშობიარობა მქონდა, მისი დაბადებიდან მალე ბავშვთა რესპუბლიკურში წავედით, თავიდან თითქოს არ ჩანდა, რომ მდგომარეობა ასე მძიმე იყო, ბავშვი ჩვეულებრივად იზრდებოდა და ვითარდებოდა, მაგრამ შემდეგში თანდათან გამოჩნდა მისი პრობლემები, მუდმივად ვმკურნალობდით, საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ ყოველთვიურად კონსულტაციებზე დავდიოდით და ექიმების, ნევროპათოლოგების მეთვალყურეობის ქვეშ ვიყავით, თუმცა, ჩვენი ხანგრძლივი მკურნალობა ისეთი შედეგიანი არ აღმოჩნდა, როგორი მოლოდინიც გვქონდა. გიორგი ცელქი, მოძრავი ბავშვი იყო, თავიდან თითქოს დგომასაც ცდილობდა, მაგრამ შემდეგ და შემდეგ ის ასაკობრივი ჩვევები, რაც ბავშვს თავის ასაკში უნდა ჰქონოდა, დაუგვიანდა და ბევრად გვიან შეძლო. 3 წლის იყო, როდესაც ერევანში წავიყვანეთ, მაშინ სპიტაკში მომხდარი ამბების გამო ამ ქალაქში ამერიკელი ექიმები იყვნენ ჩამოსული. მათი მეთოდი ვარჯიშის მეთოდი გახლდათ. სწორედ ამერიკელმა ექიმებმა მომიწოდეს, ბავშვი რაც შეიძლება აქტიურად ჩამერთო თანატოლებთან, რათა ის ბავშვობიდანვე მიჩვეულიყო საზოგადოებასთან ურთიერთობასა და კომუნიკაციას. ეს იმ მედიკოსების აზრით, ყველაზე საუკეთესო წამალი გახლდათ ჩემი შვილისთვის.-„ატარეთ ბაღში, სკოლაში, ავარჯიშეთ ბევრი და აქტიურად ჩართეთ ყველა აქტივობებში“, მომიწოდეს მაშინდელმა მედიკოსებმა, მანამდე თითქოს გარეთ ბავშვის გაყვანა მერიდებოდა, გამაჩნდა კომპლექსები და ვერ წარმომედგინა, მაგრამ ამ რჩევის შემდეგ გავედით და გავედით გარეთ, ეს მართლაც წამალი აღმოჩნდა გიორგისთვის. ის აქტიური გახდა, ჰქონდა პერიოდი, როცა ბაღში თითქოს ფეხზე დადგომასაც კი ცდილობდა და ცეკვასაც ახერხებდა. ყველაფერს შევეშვით და დღის პირველ ნახევარში გიორგისთან ერთად მეც დავიწყე საბავშვო ბაღში სიარული. ვერ ვიტყვი, რა მოხდა, მაგრამ ხანდახან დედის გული ფიქრობს, ხომ არ დავუშვით შეცდომა და ხომ არ წავედით არასწორი მკურნალობით, გიორგის ჩვენი ყურადღება არ აკლდა ამ მხრივ და არც ახლა აკლია, მაგრამ, ხომ არ იყო შესაძლებელი უფრო მეტი და ხომ არაფერი დავაკელით. ეს ის ფიქრებია, რომელიც მუდმივად მაწუხებს, -ამბობს გიორგის დედა, ქალბატონი ნათია.

იმის გამო, რომ გიორგის საუბარი ძალიან უჭირდა და მისი ნათქვამის გაგება ძალიან გაძნელდა, მის სათქმელს დედა, ქალბატონი ნათია უმალ ხვდებოდა და ის უკეთ გადმოგვცემდა გიორგის განცდებს და დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხისადმი. ამიტომ, ინტერვიუს ძირითადი ნაწილი გიორგისთან ერთად სწორედ მის დედასთან შედგა.

- ვიცი, რომ გიორგი ჩვენი გაზეთის აქტიური მკითხველია, წერა- კითხვა როგორ ისწავლა?

- მან სკოლაში იარა, ჩვეულებრივად ეტლით დაგვყავდა ყოველდღე, სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში გაიარა საშუალო განათლების კურსი, მისი პირველი პედაგოგი ლია სულაშვილი გახლდათ, სწორედ მას და მთელ მაშინდელ კოლექტივს დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენთვის წერა-კითხვის შესწავლაში.

- გიგრძვნიათ თუ არა საზოგადოებისგან სტიგმა, გქონიათ თუ არა გულისტკენა სკოლაში თანატოლებთან ურთიერთობის რომელიმე ეტაპზე?

- თავდაპირველად სკოლაში მისვლისას იყო რაღაც გართულებები, რომლის გახსენებაც არ მინდა, თუმცა, მალე აღმოიფხვრა ამგვარი მიდგომა და გიორგი ყველამ შეიყვარა. ეს, შესაძლოა, განაპირობა იმანაც, რომ გიორგი ხორნაბუჯის რუსულ-ქართულ სკოლაში მივიყვანეთ, სადაც მე ვასწავლიდი და ამდენად, მისმა თანაკლასელებმაც და კოლექტივმაც ძალიან შემიწყო ხელი. თუმცა, მაინც უნდა დავძინო, რომ მიუხედავად უამრავი აგიტაციისა და ინფორმაციისა, ჩვენი საზოგადოება მაინც არაა იმისთვის მზად, რომ ასეთი შესაძლებლობების ადამიანები ყოველდღიურობაში მიიღონ.

- თუ გრძნობთ საზოგადოებისგან ყურადღებას და რითი გამოიხატება ეს?

- რა თქმა უნდა, სადაც გამოვჩნდებითი, უამრავი ადამიანი კითხულობს გიორგის, რაც მას ძალიან სიამოვნებს და ბავშვივით უხარია, მერე ეს ემოცია ნლები ამახსოვრდება და კარგი გრძნობით იხსენებს. ამ წუთში მანიშნებს, რომ გითხრათ მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება მუნიციპალიტეტის გამგებლის ნიკოლოზ ჯანიაშვილის მიმართ, რომელიც გიორგის, მისივე პიროვნულობიდან გამომდინარე, ძალიან შეუყვარდა. გიორგის შეხედულებით, ბატონი ნიკოლოზი რაიონის ხელმძღვანელობიდან ის პირველი ადამიანია, რომელმაც მის მიმართ ძალიან დიდი სითბო და ყურადღება გამოიჩინა. სადაც დაინახავს გიორგის, ღონისძიებაზეა ეს თუ სხვაგან, ბატონი ნიკოლოზი მუდმივად მოდის მასთან, ხელს ართმევს და განსაკუთრებული ტკბილი სიტყვებით კითხულობს. ერთ -ერთი შეხვედრის დროს გვახსოვს, ხალხი არ გვიშვებდა წინა ადგილებისკენ, ბატონმა ნიკოლოზმა ეს შენიშნა, ხალხი მისწი-მოსწია და გიორგის ეტლი თავად მიაგორა წინ. მისმა ასეთმა საქცილმა, ჩემი შვილი ისე გაახარა, რომ ის ბედნიერების განცდა, ალბათ, ცხოვრების ბოლომდე გაჰყვება. საერთოდ, გიორგიზე შემჩნეული მაქვს და რამდენჯერმე გამიმხილა, რომ საშინლად არ უყვარს, როცა სიბრალულით უყურებენ მას, როცა ეცოდებათ იგი მისი მდგომარეობის გამო, ეს საშინელ ხასიათზე აყენებს და ცდილობს, იქაურობას გასცილდეს, მას უნდა და მოსწონს, როცა სრულფასოვან მოქალაქედ აღიქვამენ და არ უსვამენ ხაზს მის ფიზიკურ მდგომარეობას.

- მაინტერესებს, კიდევ მინდა ისაუბროთ ამ საკითხზე, გიორგის შეხედულება როგორია, რას გრძნობს კიდევ საზოგადოებისგან, როგორია მათი მიდგომა გიორგისადმი, როგორც უნარშეზღუდული ახალგაზრდის მიმართ, რას გრძნობს გიორგი, როცა საზოგადოებაში ჩნდება?

- ახლა მანიშნებს, რომ ვთქვა და ავღნიშნო ის, რომ გული სწყდება,კულტურულ ღონისძიებებზე რომ არ ეძახიან. ხშირად ისე ჩატარებულა კონცერტი, გვიან გაუგია და დანანებია, მას სურს, რომ გააგებინონ, დაუძახონ, რადგან ეს ერთგვარი ყურადღება ძალიან კარგ ემოციებს იწვევს მის გულში. თუმცა, სურს, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ასეთი მიწვევა მხოლოდ ერთი-ორი თუ ახსოვს. დანარჩენ ღონისძიებებზე ჩვენი ინიციატივით მივდივართ. ერთადერთი მიწვევა კულტურულ ღონისძიებაზე გიორგიმ მიიღო ქალბატონ ნონა ნატროშვილისგან, როდესაც ის იყო კულტურის, განათლების, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახურში. ეს ყურადღება და პატივისცემა მას არასოდეს დაავიწყდება. ნონა გიორგის ბავშვობის კლასელია და ამდენად მან ერთადერთმა გამოიჩინა ნება, მიეწვიათ კულტურულ ღონისძიებაზე, რაც ნამდვილად ძალიან გაუხარდა და არც არასოდეს დაავიწყდება. ანუ, გვინდა ვთქვათ, რომ თუ არ გყავს ახლობელი, თუ არ გყავს ნაცნობი და გულშემატკივარი, თუ თავად შენ არ შეახსენე თავი, ყველა ძალიან მალე გივიწყებს.

- თქვენ ხშირად დადიხართ ეკლესიაში, კულტურის სახლში, გამოფენებზე, სადაც ძირითადად ეტლით ხართ, რაიონის რამდენიმე ადგილას შემინიშნავს პანდუსი, მაგრამ ყველგან არაა, რას იტყვით ამაზე, ხომ არ გიჭირთ ეტლით გადაადგილება?

- ოო, ეს პრობლემა ნამდვილად გვაწუხებს, რაიონის თითქმის არცერთ ორგანიზაციასთან, (თუ არ ჩავთვლით ბანკებს,) არ არსებობს პანდუსი, სწორედ ეგაა ჩვენი თავსატეხი, როცა ეკლესიაში მიმყავს ბავშვი, ძირითადად ფეხით მივდივართ და ეტლს მე ვმართავ, გზაში, ქუჩიდან ქუჩაზე, ტროტუარზე ან ეკლესიის შესასვლელთან, მუდმივად ვეძებ დაბალ გადასასვლელს, რომ გადავიყვანო ეტლი, ხშირად ვერ ვნახულობ ასეთ გადასასვლელს და მიწევს ეტლის აწევა, თუ ვინმეა ახლოს, მეხმარება, თუ არა და მარტო ვწვალობ. ისე რომ, ეს პრობლემა მართლაც მოუგვარებელია ჩვენს რაიონში, ხშირად ხდება ისეც, რომ შენობის ეზოში შესასვლელად არის პანდუსი, მაგრამ თვით შენობის კიბეებზე გადასასვლელი ან ასავლელი პანდუსი არაა, რაც ნამდვილად გვიშლის ხელს კომფორტულად სიარულში. თუნდაც ის, რომ გიორგის ძალიან უნდოდა ინვალიდთა ასოციაციაში გაწევრიანება, გვითხრეს, რომ გამგეობის ერთ-ერთ ოთახში არსებობს ასეთი კაბინეტი, სადაც ეს ორგანიზაციაა განთავსებული, მაგრამ აქაც ანალოგიურ პრობლემას წავაწყდით, რომ დაიანახა ბავშვმა, რომ არ არსებობდა შესაძლებლობა იქ ასვლისა, შეეშვა, თუმცა, ოცნება ოცნებად დარჩა. მას ძალიან უნდოდა, ამ ასოციაციის წევრი გამხდარიყო და ხანდახან ჰქონოდა გასასვლელი მიზეზი.

- ალბათ მადლიერიც ბევრი ადამიანის მიმართ იქნებით...

- მადლიერი ვართ ჩვენი რაიონის ექიმების მისამართით, განსაკუთრებით ვანო ნატროშვილის, ხათუნა აგლაძის და ეკა გონაშვილის მიმართ, რომლებიც დაგვეხმარნენ მონაცემების გაგზავნაში და ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ გიორგის კომფორტული, ახალი ეტლი მიეღო, გვაქვს ძველი ეტლი, მაგრამ ის ხელით სატარებელია, ახალი კი, ავტომატურად მართვადია. გიორგის ცხოვრების მანძილზე ხუთი ეტლი აქვს გამოცვლილი, როცა უძველდება, რაღა თქმა უნდა, ახლით ვცვლით, ორ შემთხვევაში გვაჩუქეს, ერთხელ არასამთავრობებმა გვაჩუქეს, ხოლო მეორედ გერმანიის საელჩოს საჩუქარი გახლდათ, თუმცა, ამჯერად ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოგზავნილი ავტომატური ეტლი ყველაზე საუკეთესოა,რისთვისაც მადლობა ჯანდაცვის სამინისტროს და ჩვენს მედიკოსებს.

- ვინ არიან ისინი, ვისაც არასოდეს ავიწყდება გიორგი? ჰყავს თუ არა გიორგის მეგობრები?

- თანაკლასელი ბიჭები აკითხავდნენ ხშირად, ახლა უკვე გაიზარდნენ, თითქმის ყველა ოჯახს მოეკიდა, აღარ აქვთ დრო და საშუალება ხშირად მოვიდნენ, გვინდოდა ერთხელ ჩვენ მოგვეწყო ისე, რომ დაბადების დღეზე მოგვეპატიჟა ისინი და გიორგი გაგვეხარებინა, თუმცა, რატომღაც ვერ მოვიდნენ და საბოლოოდ ისევ და ისევ ახლობლებისა და ნათესავების გარემოცვაში ავღნიშნეთ. ახლა მანიშნებს და იხსენებს წლების წინანდელ დაბადების დღეს, რომელიც მამამისმა პომპეზურად აღუნიშნა. ეს რჩება მისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერ დღედ, როცა მისი ყველა მეგობარი მოვიდა და ძალიან კარგად მოილხინეს.

- გიორგის ეკლესიურობაზე რას იტყვით, რამ განაპირობა?

- მამა ნიკოლოზი, (ახლა დეკანოზი ნიკოლოზი) გახლდათ ჩვენი პირველი მოძღვარი, სწორედ მისი შთაგონებით და მისი მადლით მივედით ეკლესიაში. მანამდე სულ მქონდა ეკლესიასთან სიშორის დანაკლისის განცდა, სულ მინდოდა ეკლესიაში სიარული, თუმცა, თითქოს სულ რაღაც გვიშლიდა ხელს. მამა ნიკოლოზის გიორგისადმი თბილმა და კარგმა დამოკიდებულებამ ეკლესიაში მიგვიყვანა მე და ჩემი სამი შვილი, ალბათ, ღმერთი განსაცდელსაც იმიტომ აძლევს ადამიანს, რომ გაჭირვების დროს, ოდესმე მაინც მივიდეს ტაძარში და ილოცოს. მაშინ ჩემი უმცროსი შვილები, იმედა და ნინო ძალიან პატარები მყავდნენ, მაგრამ ისინიც გამომყვნენ და გვერდში ედგნენ თავიანთ ძმას. მას შემდეგ თითქოს სხვანაირი სულიერი ცხოვრებით აივსო ჩვენი გულები. ამჯერად გიორგის ბერი გაბრიელის ცხოვრება უდევს წინ და გულდასმით კითხულობს, მის ცხოვრებას ეცნობა, რაც ძალიან მახარებს.

არ მავიწყდება ის ბოლო ზარი, როდესაც გიორგი თავისი დის ბოლო ზარს დაესწრო და მისი სიხარული გაიზიარა. მახსოვს დის სცენაზე გამოსვლისას გიორგის თვალებში სიხარულის ცრემლი კიაფობდა.

ის თავისი და-ძმის დიდი გულშემატკივარია, მათ ყველა ღონისძიებას დიდი გულისფანცქალით ელოდა და მუდამ ცდილობდა დასწრებოდა. ასე იყო ბოლო ზარზეც, საჩუქარიც კი გაუკეთა თავის დას.

გიორგი უკვე 27 წლისაა და ის თავისი შეზღუდული შესაძლებლობის გამო, რა თქმა უნდა, ვერ მუშაობს, მისი შემოსავლის ერთადერთი წყარო ინვალიდობის 150 ლარიანი პენსიაა, ეს ძალიან მცირეა იმისთვის, რომ თავისი ოცნებები და სურვილები აისრულოს, მაგრამ იმდენად აქვს მშობლიური პასუხისმგებლური გრძნობა და-ძმისადმი, რომ თავისი თანხით მუდმივად ცდილობს, ისევ მათ დაეხმაროს. სიამაყით შესცქერის დის სიგელებს, რომლებიც ოთახის კედელზე აქვს გაკრული და მისგან კიდევ მეტის მოლოდინით, ჯერ-ჯერობით ამას სჯერდება. ერთხანს წმინდა გიორგის სახელობის საკვირაო სკოლაც გაიხსნა, სადაც სხვა უნარშეზღუდულებსაც ხვდებოდა, თუმცა, ის სკოლა დაიხურა. მერე კომპიუტერული კურსებიც გაიარა. დღემდე აქვს საკვირაო სკოლის ნოსტალგიაც და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობის სურვილი.მანამდე კი, სანამ ეს პრობლემები მოგვარდება, ყოველ დილით ისევ მოუტანენ მშობლები ჟურნალ-გაზეთებს, რომელსაც ბოლო აბზაცამდე დაწვრილებით გაეცნობა, ჩართავს ტელევიზორს და უყურებს გადაცემებს, ცოტა ხნით ქუჩაშიც გავა, ადამიანების დასანახად, კვირას ეკლესიაში ილოცებს და კვირიდან კვირამდე იმის მოლოდინში გაატარებს, როდის ჩატარდება რაიონში რაიმე საღამო, სადაც მასაც გაიხსენებენ და მიიწვევენ.

წამოსვლისას თავისი ეტლი კარებამდე მოაგორა, კარების ზღურბლთან შეჩერდა, რადგან ვეღარ გამოვიდა და იქიდან კეთილი მზერით გამოგვაცილა. ზუსტად ვიცი, რომ ჩემი სტუმრობა და ეს სტატიაც გაზეთში რომ დაიბეჭდება, დიდხანს, დიდხანს გაახარებს მის გულს.

ჯანმრთელობას და სულიერ სიმხნევეს გისურვებ, გიორგი!

ლალი მეხრიშვილი

უფლის კვართის ამბავი

ძველი აღთქმის მღვდელს ეფოდთან, წამოსასხამსა და სხვა შემოსამოსელთან ერთად აუცილებლად ნაქსოვი კვართიც უნდა სცმოდა. იცოდა ეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა და ამიტომაც ყრმა იესუს, მომავალ „მღვდელმოძღვარს წესსა ზედა მელქისედეკისასა“, კვართი მოუქსოვა. „ხოლო კვართი იგი... იყო უკერველ, ზეით გამოქსოილ ყოვლად“. გადიოდა ხანი, „წარემატებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა და მადლითა“ იესუ და სასწაულებრივად იზრდებოდა ღვთისმშობლის მოქსოვილი კვართიც, რომელსაცა „ნეტარებით შეეცვა ნათელთა ყოველთა მფლობელი გვამი წმიდა ცეცხლისა მის ღვთაებისა“. თეოდორე ზიგაბენის მიხედვით, კვართი სახელოებიანი ყოფილა. მოკლესახელოიანი კვართია გამოსახული ბაგრატიონთა გერბზეც. ხოლო XVII საუკუნეში იერუსალიმში გავრცელებული ერთი გადმოცემის თანახმად, უფლის კვართი ლაჟვარდისფერი ყოფილა, მანტიის მსგავსი, უსახელო, განიერი და გრძელი (საუბარი იოანიკე ბერძენისა ივ.გრამიტინთან), მაგრამ რისგან იყო იგი მოქსოვილი, ეს უცნობია. ერთი კია - ამ ნეტარმა შესამოსელმა, როგორც ღრუბელმა შეინოვა ოფლი, სისხლი და ცრემლი, რომელიც კაცთა მოდგმის ხსნისთვის დაღვარა მაცხოვარმა.

იერუსალიმში იესოს ჯვარცმისას საქართველოდანაც ჩავიდნენ ურიები - ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. ელიოზის დედა ელი მღვდელმთავრის ტომიდან იყო. სწორედ მან გააფრთხილა ვაჟები, რომ უფლის სისხლის დათხევაში მონაწილეობა არ მიეღოთ. ამასვე ევედრებოდა ელიოზს და სიდონია. მაცხოვრის ჯვარცმისას ლურსმნების დაჭედების ხმა თურმე მცხეთაში მოესმა ელიოზის დედას. წამოიძახებია: „მშვიდობით, მეფობაო ისრაელთაო, რამეთუ უგუნურებით მოჰკალთ უფალი და მაცხოვარი ყოველთა!“ - და მწუხარებისაგან იქვე დაულევია სული.

ეტყობა, მაცხოვრის ჯვარცმისას ელიოზი ძალზე აქტიურობდა. როცა უფლის სამოსელი განიყვეს და კვართზე წილი იყარეს, იგი სწორედ მას შეხვდა. უფლის კვართი ელიოზმა მცხეთაში წამოიღო. სიდონია მას ტირილით შეგებებია მცხეთის კარიბჭესთან, ჩაუკრავს მკერდში „ყოველთა სასურველი კვართი მხსნელისა“ და მიუძღვნია „თავისი დედის ძილით“. ეს ამბავი მთელ მცხეთას მოედო. მიცვალებული მეფე ადერკს უნახავს და კვართი მოსწონებია. ბევრს ცდილან, მიცვალებულისთვის კვართი გამოერთმიათ, მაგრამ ამაოდ და ბოლოს კვართითვე დაუკრძალიათ ლიბანის ნაძვებთან.

რამდენიმე წლის შემდეგ ადერკის შვილიშვილს, მეფე არმაზელს მოუნდომებია სიდონიას საფლავის გათხრა და კვართის პოვნა, მაგრამ ამის გამო ღვთისგან სასჯელი მიუღია - უეცრად დაბრმავებულა.

აი, ამგვარად მოხვდა უფლის კვართი საქართველოში. სახიერ უფალს წინასწარვე განეგო ჩვენი ქვეყნის „ერად საზეპუროდ შემზადებაი“ და ვინაიდან ღვთისმშობლის წილხვედრნიც ვიყავით, ამისათვის უფრო ღირს იქმნა იბერია „ამას საშინელსა მადლსა“. როგორც წმინდა ნიკოლოზ გულაბერისძე ბრძანებს, „ამისთვისცა უკვე წინასწარვე წარმოავლინა მადლი ღვთაებისა მისისა რათა პირველადვე დაიწინდოს კვართითა მით და მადლით ღვთაებისა მისისათა“.

შემობრძანდა იბერიაში წმინდა ნინო და დადგა ჟამი უფლის კვართით დაწინდული „საზეპურო ერის“ ქრისტესთან ქორწილისა, შეერთებისა... ღვთის სასწაულითა და წმინდანის ლოცვით მოქცეულმა მეფე მირიანმა თავის სამეფო ბაღში ტაძრის აშენება გადაწყვიტა. მოჭრეს ბაღში ამოსული მშვენიერი ლიბანის ნაძვები და მათგან 7 სვეტი გამოთალეს. შეკრეს ძალთაგან კედლები და აღმართეს ექვსი ბოძი თავ-თავიანთ ალაგას, ხოლო ტაძრის შუაში დასადგმელად მეშვიდე სვეტს, მიუხედავად ბევრი წვალებისა, ძვრა ვერ უყვეს. მოსაღამოვდა. მეფე და მისი მხლებელნი სასახლეში წაბრძანდნენ. სვეტთან მხოლოდ წმინდა ნინო დარჩა მოწაფეებთან ერთად. სასოწარკვეთილმა ეშმაკმა მათი შეშინება სცადა, მაგრამ წმინდა ნინოს ლოცვამ დაამხო მისი მანქანება.

იცისკრა. ემოციებისგან დაღლილებს მიეძინათ. მხოლოდ აბიათარ მღვდლის შვილი სიდონიაღა ფხიზლობდა. წმინდა ნინო ხელგანპყრობილი ლოცულობდა. უეცრად მასთან ნათლით შემოსილი ჭაბუკი მივიდა და სამი სიტყვა უთხრა. ქალწული მის წინაშე პირქვე დაემხო, ხოლო ჭაბუკმა მოჰკიდა სვეტს ხელი და ზეცად აღამაღლა. რამდენიმე ხნის შემდეგ ცეცხლის სახედ შეცვლილი სვეტი ნელ-ნელა ჩამოეშვა, იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც ხე მოკვეთეს და მიწიდან ორ წყრთაზე გაჩერდა, „ზე ჰაერთა საკვირველად გამოკიდებული“. ასე მოგვითხრობს „სვეტიცხოვლის საკითხავი“, ხოლო „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ცეცხლის სვეტი ჩამოშვებულა, ამავე ადგილას დამდგარა და კაცთაგან ხელშეუხებლად დამყარებულა.

ამ საოცარმა ამბავმა მთელი ქართლი შეძრა. მოდიოდნენ სვეტთან და ვეღარ შორდებოდნენ საკვირველ სახილველს. სვეტის ძალით უამრავი სასწაული მომხდარა. პირველად შობითგან ბრმა ურია განუკურნავს სვეტიცხოველთან მიახლებას, შემდეგ საწოლს მიჯაჭვული ყრმა სეფეწული ამაზასპანი დაუყენებია ფეხზე. იმხანად ერთ ურიას მხოლოდშობილი ძე მოჰკვდომია. ყველა სვეტი-ცხოველის სახილველად წასულა, მიცვალებულთან მხოლოდ მშობლები დარჩენილან, რომლებიც თურმე მწარედ მოთქვამდნენ და შვილს ევედრებოდნენ: „აღდეგ, მხოლოდშობილო ჩვენო, რათა მივეახლნეთ სვეტსა მას ნათლისასა“, რათა ვიხაროთ სხვებთან ერთადო. და უცებ, თითქოს გაიღვიძაო, მიცვალებული ყრმა წამოდგა და სვეტიცხოველთან წაყვანა მოითხოვა. ყვებოდა, რომ ჯოჯოხეთის უფსკრულში იყო ჩავარდნილი; ანაზდად ზეციდან ნათლის სვეტი ჩამოეშვა, რომლის თავზეც მაცხოვარი იჯდა დიდებით. უეცრად სვეტიდან ხმა მოისმა: „მეცოდებიან შენი მშობლები, მათი ტკივილისგან „მელმისო გული“, - მერე კი ანგელოზთ უბრძანა, ყრმის სული სხეულში დაებრუნებინათ.

ამ სასწაულმა უფრო ააფორიაქა ხალხი. ყველა ცდილობდა სვეტიცხოველთან მიახლოებას. აღტყინებისგან ერთმანეთს თელავდნენ. მაშინ მეფე მირიანმა სვეტს ფიცრის საბურველი შემოახვია. საბურველმა ვერ დაუბრკოლა სვეტიცხოველის მადლი...

მალე აქ პირველი ტაძარი აშენდა. წმინდა კონსტანტინე დიდმა მეფე მირიანს ეპისკოპოს იოანეს ხელით გამოუგზავნა ძელიცხოვლის ნაწილი, სამსჭვალნი და ფიცარი, რომელზეც მაცხოვრის ფერხნი იყო მიმსჭვალული. ეპისკოპოსმა ძვირფასი ძღვენი ერუშეთსა და მანგლისში დატოვა, მეფე მირიანთან კი ხელცარიელი დაბრუნდა. გულდაწყვეტილი მეფე წმინდა ნინომ ანუგეშა - უთხრა, რომ იგი უდიდეს სიწმინდეს ფლობდა - მის ბაღში იყო დაკრძალული უფლის კვართი და ილია წინასწარმეტყველის ხალენი. მეფემ ურიებს დაწვრილებით გამოჰკითხა ყოველივე. მათაც წმინდა ქალწულის ნათქვამი დაადასტურეს. მაშინ კი აივსო მეფე სიხარულით და ადიდა უფალი.

მირიანის ვაჟს, რევის, მეფობის ჟამს შეშინებია, სვეტიცხოველი საბურველისგან არ განძარცვონ და არ მოიპარონო, და მის გარშემო ქვითკირის კედელი აუშენებია. მოგვიანებით ვახტანგ გორგასალმა ხის ტაძრის ადგილას მოზრდილი ქვის ბაზილიკა ააგო თორმეტი მოციქულის სახელზე. ეს ტაძარი აბულ ყასიმს გადაუწვავს მეათე საუკუნეში, მაგრამ მალევე აღუდგენიათ. გიორგი I-ის მეფობისას კი კათოლიკოსმა მელქისედეკმა მის ნაცვლად დიდი გუმბათოვანი ტაძარი ააგებინა. ტაძარი თემურ ლენგის შემოსევისას დაზიანებულა და ალექსანდრე დიდს იგი ხელახლა აღუდგენია. ტაძარი კვლავ დაზიანებულა შაჰ-თამაზისა და მისი შვილიშვილის შაჰ-აბასის შემოსევებისას. როსტომ მეფის მეუღლეს, მარიამ დედოფალს, 1656 წელს აღუდგენია სვეტიცხოვლის გუმბათი, რის გამოც იგი ვაჟთან ერთად ტაძარში გამოუსახავთ. შემოსევების გამო დაზიანებულა სვეტი-ცხოვლის ირგვლივ აშენებული გოდოლიც და იგი აღუდგენიათ 1675 წელს, კეთოლიკოს ნიკოლოზის ბრძანებით. გოდოლი „მოქცევაი ქართლისაის“ სცენებით მოუხატავს გრიგოლ გურჯვარიშვილს.

სვეტი-ცხოველის ძირიდან უძველესი დროიდან მოედინებოდა მირონი, რომლითაც საზრდოობდა და წარემატებოდა ქრისტეს სარწმუნოებაში ქართველი ერი. პლატონ იოსელიანის ვარაუდით, ეს მაცოცხლებელი წყარო შაჰ-აბასის შემოსევებისას, 1614-1617 წლებში, უნდა დაწყვეტილიყო, რადგან შაჰს თურმე ძალზე შეურაცხუყვია ტაძარი, ხოლო 1624 წელს შაჰ-აბასის თანამედროვემ, „საელჩო პრიკაზში“ გამოძახებულმა იოანიკე ბერძენმა, ივან გრამოტინს ასეთი რამ უთხრა: როცა შაჰ-აბასის პაპამ, შაჰ-თამაზმა, ივერია დალაშქრა (ეს იყო 1541-1553 წლებში), შაჰს სვეტიცხოვლის ტაძარი ცხენებისა და პირუტყვის სადგომად გადაუქცევია; აი, სწორედ მას შემდეგ შეწყდა სვეტიდან მირონის დენაო.

გამოსათხოვარი

კაკო ხუნაშვილი

გამიგონია, სიკვდილი არ არსებობს, სიკვდილი მარტო იმისი ხვედრია, ვინც ცოცხლებისგან დავიწყებულიაო.

შენ ცოცხალი ხარ, კაკო! ჩვენს გულებში მუდამ ცოცხალი ხარ! მიუხედავად იმისა, რომ შენი ტრაგიკული გარდაცვალებიდან 31 წელი გავიდა, შენს ოჯახს, მიხას, გოჩას, იას და თაზოს ოჯახს მუდამ ახსოვხარ. რაც დრო გადის, მით უფრო ძლიერდება მონატრება. ერთად გატარებული საუკეთესო წლები, სამწუხაროდ, მხოლოდ მოგონებებში დარჩა. ჩვენ ხომ ერთ დიდ ოჯახად ვცხოვრობდით. ახლაც ასე ვართ... ოღონდ შენს გარეშე. 12 ოქტომბერს შენი დაბადების დღეა, 60 წლის გახდებოდი...

წარმომიდგენია, რა სიხარულით აღნიშნავდი ამ დღეს, ჩვეული იუმორით გაგვამხიარულებდი... გვერდით მოისხამდი სამ ულამაზეს შვილიშვილს ნიაკოს, ელენეს და შენს მოსახელე აკაკის, რომელიც პაპას მიხას და გოჩას ეძახის.

ჩვენ მოვალთ შენთან, რუსთავიდან ჩამოვა შენი ნუკრი უმშვენიერესი მეუღლით, გერმანიიდან დარეკავს საყვარელი ეთიკო და მოგილოცავს დაბადების დღეს.

უშენოდ ჩავაქრობთ 60 სანთელს. შენს მარადისობაში ასაკი არ გეხება. ვიცი, შენ და შენი მშობლები მუდამ ილოცებთ ჩვენთვის. თითოეული ჩვენგანის ლოცვა და ანთებული სანთელი გზას გაგინათებთ ზეციურ სასუფეველში. გეფერებით, გვენატრები, ძალიან გვაკლიხარ.

ია თევზაძე



ნიკოლოზ გონაშვილი

15 ოქტომბერს 84 წლის გახდებოდი, ჩვენო საყვარელო მამავ, პაპავ და მამამთილო. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. ამქვეყნიური ცხოვრება ბედნიერმა დატოვე. დაგრჩა შვიდი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი. შენ სამუდამოდ დარჩები მათ გულებში, როგორც მოსიყვარულე პაპა. ჩვენგან წახვედი, მაგრამ გულში ჩაიხუტე შენი წლების წინ გარდაცვლილი მეუღლე. შენი უფროსი შვილი, ზიგფრიდი დღეს ჩვენთან აღარ არის, უკვე რამდენიმე თვეა დატოვა მიწიერი ცხოვრება და თქვენთან გადმოინაცვლა. მისმა გარდაცვალებამ ჩვენ ყველას დაგვწყვიტა გულები, მაგრამ რას იზავ, ასეთი ყოფილა წუთისოფელი.

ისღა დაგვრჩენია, შენს დაბადების დღეზე მოვიდეთ შენს საფლავთან და გაყინული ქვიდან მომზირალ სურათს მოვეფეროთ.

გინთებთ წმინდა სანთლებს და უფალს შევთხოვთ ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სულები.

შენო ოჯახი

მეზობლები:ნოდარ გივიშვილი, თენგიზ იაკობიშვილი, გივი შახბაზოვი, გივი ლომიძე, მერაბ მენთეშაშვილი, ეკა სარალიძე, გიგო ბოსტაშვილი, რამანა მეხრიშვილი, სპარტაკ ლაპიაშვილი ოჯახებით თანაგრძნობის უცხადებენ ანდრო, ხათუნა, მარიკა და სოსო ჭანიშვილებს მეუღლის და დედის

ესმა დათუკიშვილ-ჭანიშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ სოფელ არბოშიკის ბიბლიოთეკარს ნონა ზუბიაშვილს მამის

ნასყიდას

გარდაცავალების გამო.

ელგუჯა, დავითი, ლევანი თეთვაძეები, ნათელა ბოსტაშვილი, ქეთი მეხრიშვილი სამძიმარს უცხადებენ იზა ტოკლიკიშვილს, მარიკა, სოსო, ხათუნა ჭანიშვილების ოჯახს

ესმა დათუკიშვილის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ანდრო ჭანიშვილი; შვილები: მარიკა, სოსო, ხათუნა. სიძეები: ანზორ ჭინჭარაული, იასონ ტოკლიკიშვილი. შვილიშვილები: იზა, მარი, ნინო. შვილთაშვილები, მძახლები იუწყებიან

ესმა დავითის ასულ დათუკიშვილის

გარდაცვალებას.

დაიკრძალა 11 ოქტომბერს, ქალაქ დედოფლისწყაროში, ჰერეთის ქუჩა N164.

„იმედის“ ბულგარული ვოიაჟი

დედოფლისწყაროს ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“ ბულგარეთში იმყოფებოდა. როგორც ანსამბლში გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, ქართველმა მოცეკვავეებმა ბულგარეთში, კუნძულ ნესებრიზე გამართულ ფესტივალზე „ვარსკვლავთცვენა“ იცეკვეს, „იმედთან“ ერთად ფესტივალზე კიდევ რამდენიმე ქართული ანსამბლი მონაწილეობდა.

ანსამბლის ქორეოგრაფის ხვიჩა ზუბიაშვილის განმარტებით, ეს ქვეყნის საზღვრებს გარეთ „იმედის“ მოცეკვავეების პირველი გასვლა იყო. მისივე თქმით, ვიზიტი ისე დაიგეგმა, რომ ბავშვებს კუნძულის დათვალიერების საშუალებაც ჰქონოდათ.

„საინტერესო ზაფხული გვქონდა. შვიდწლიანი მზადების შემდეგ იმ ეტაპზე მივედით, რომ საზღვარგარეთ გასვლით გვინდოდა ევროპა გვენახა, ბავშვებს განსხვავება დაენახათ და მოტივაცია გაზრდოდათ. მინდა დარწმუნებულიყვნენ, რომ ვინც შრომას არ დაიზარებს და ჯანსაღ ცხოვრებას მიჰყვება, ბევრს მიაღწევს. ბავშვებმა ეს აღიარეს და დასკვნებიც გამოიტანეს, რომ ენერგიულად უნდა იშრომონ და ისწავლონ. ძალიან ლამაზი კუნძულია, ეს თვალმა თუ არ ნახა, ისე ვერ გადმოგცემთ. ავტობუსით წავედით და გზაშიც რამდენიმე ადგილას შევჩერდით. ჩვენთან ერთად მომღერალი დათო კენჭიაშვილი მგზავრობდა და ამის გამო ბავშვებმა ძალიან გაიხარეს. ფესტივალზე ძალიან ბევრი ქვეყანა მონაწილეობდა. თავდაპირველად სამ კონცერტზე უნდა მიგველო მონაწილეობა, მაგრამ ქორეოგრაფებმა გადავწყვიტეთ, ჩვენი ნომრები მხოლოდ დასკვნით ცერემონიაზე გვეჩვენებინა. არჩევანის წინაშე დავდექით. ყველა ღონისძიებაზე რომ გამოვსულიყავით, ამ შემთხვევაში ჩვენი ანსამბლის ბავშვები სცენის მეტს ვერაფერს ნახავდნენ და დროში ისე შევიზღუდებოდით ქალაქის დათვალიერებას ვერ მოახერხებდნენ. არ გვინდოდა ბავშვებს გული დაწყვეტოდათ და ეს შესაძლებლობა გამოვიყენეთ. ამიტომაც ყველა ნომერი დასკვნით დღეს ვაჩვენეთ. ამის ხარჯზე კი ბავშვებმა გასეირნებაც შეძლეს და კუნძულ ნესებრიზე ღირსშესანიშნაობები დაათვალიერეს. ზოგადად, ძალიან კმაყოფილები დავბრუნდით, წამოსვლა აღარ უნდოდათ. ვთვლი, რომ საინტერესო გამოცდილება მიიღეს,“ - ამბობს ხვიჩა ზუბიაშვილი.

ბულგარული ვოიაჟის შთაბეჭდილებებზე სასაუბროდ ჩვენ ანსამბლის მოცეკვავეებსაც შევხვდით. 16 წლის ერეკლე ჯანიაშვილი ანსამბლის ერთ-ერთი აქტიური მოცეკვავეა. ამბობს, რომ წარმატებულ კარიერას უმიზნებს და ამისათვის ძალებს არ იშურებს. კითხვაზე, რამდენად არის რაიონში შესაძლებლობა, რომ მოზარდმა პროფესიონალურ დონეზე მოახერხოს ქართული ცეკვების ათვისება, პასუხობს, რომ მთავარი მიზანდასახულობაა. მათთან საუბარში კი მოტივაცია ნამდვილად ჩანდა.

ერეკლე ჯანიაშვილი: „ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ეს კონცერტი, პირველ რიგში იმით, რომ ქვეყნის საზღვრებს გავცდით. უცხო ქვეყნის მიწაზე უფრო სიამაყით და სამშობლოსადმი სიყვარულის დიდი გრძნობით ვცეკვავდი. ეს განცდა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. რაც შეეხება სხვა შთაბეჭდილებებს, თვითონ ქვეყანამაც ჩემზე ცხადია დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ბევრი ლამაზი ადგილი ვნახეთ. დიდი გამოცდილება მივიღეთ და აღმოვაჩინეთ, რომ სხვა ქვეყანაში გამოსვლა გაცილებით დიდი მუხტია. ამიტომ, ანსამბლის ნებისმიერი წევრისთვის საზღვარგარეთ გამართული გასვლითი კონცერტები ორმაგად მნიშვნელოვანი იქნება. რაც შეეხება შეკითხვას, რამდენად გვაქვს რაიონში პირობები, რომ ამ საქმეს პროფესიონალურ დონეზე დავეუფლოთ და დიდ სცენაზე მოვხვდეთ, გეტყვით, რომ ბოლომდე ვიხარჯები, რომ შევძლო და შემდგომში დიდ სცენაზე ვიცეკვო. გეგმები დიდი მაქვს, მინდა, სახელოვანი და დიდი მოცეკვავე გავხდე.“

ნიკა ძმანაშვილი: „პირველ რიგში არ შემიძლია არ ავღნიშნო, რომ ეს გასტროლი იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენი ანსამბლის არსებობის განმავლობაში, რადგან პირველად გავიდა “იმედი” საზღვარგარეთ. ამავდროულად, ფესტივალი რომელშიც მივიღეთ მონაწილეობა იყო სხვადასხვა ქვეყნების მასშტაბით, სადაც პირველ 30 ანსამბლში დავიკავეთ ადგილი ორი ნომინაციით, რამაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა ჩვენი მონაწილეობა. ქალაქი ნესებრი, რომელშიც გავჩერდით მეტად მყუდრო, ლამაზი და მოწესრიგებული იყო. პლაჟი „ოქროს ქვიშებით“ ისეთ გარემოს ქმნიდა, რომ ნებისმიერი ასაკისა თუ სქესის წარმომადგენელს შეეძლო განტვირთვა. საღამოობით ქალაქი სრულიად იცვლებოდა და იწყებოდა ნამდვილი ღამის ცხოვრება სანაპიროს ბარებსა და კლუბებში. ასე რომ, თუ ბულგარეთში მოხვდებით, გირჩევთ მოინახულოთ ქალაქი ნესებრი“.

რუსო ქადაგიძე: „რადგანაც ეს ჩვენი ანსამბლის პირველი გასვლა იყო საზღვარგარეთ, ამიტომ უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებით ვღელავდით და მოუთმენლად ველოდით გამგზავრებას. თითოეული ბავშვისთვის ძალიან შთამბეჭდავი მოგზაურობა იყო. პირადად ჩემში ბულგარეთის კულტურამ და ზოგადად ქვეყანამ ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ფესტივალზე სხვადასხვა ანსამბლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ჩვენ ყველაფერს თამამად გავართვით თავი. ცეკვა არ გაგვჭირვებია, რადგან ღია ცის ქვეშ გამოსვლებს მიჩვეული ვართ და ეს ფესტივალიც გარეთ ჩატარდა. საუკეთესო განწყობით წავედით და უზომოდ კმაყოფილები და ემოციურად დატვირთულები დავბრუნდით. ავტობუსით მოგზაურობაც ძალიან შთამბეჭდავი აღმოჩნდა. ბევრ ადგილზე შევჩერდით და მოგვეცა საშუალება უცხო გარემოში მოვხვედრილიყავით და საინტერესო ადგილები გვენახა. ამ ასაკში უცხო ქვეყნებში მოგზაურობის საშუალება ბევრს არ ეძლევა და ბედნიერები ვართ, რომ ჩვენ ეს ყველაფერი ვნახეთ.“

ილია მარტყოფლიშვილი

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაეჩნდების“...

(მესამე გვერდიდან)

მსოფლიოში პირველი უნივერსიტეტი, ცნობილი ბიბლიოთეკა და შუქურა, რომელიც შემდეგში დაწვეს ბერძნებმა.

დავათვალიერეთ ბერძნულ-რომაული მუზეუმი, რომის იმპერატორის ანდრიანეს დაკვეთით დამზადებული „ღვთაებრივი ძროხა“ დავათვალიერეთ მუმიები. ვნახეთ პომპეუსის სვეტი, რომელიც ჯვაროსნებმა ააშენეს XI საუკუნეში, ვნახეთ კატაკომბები, აშენებული III საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მასში 30- მდე სამარხია.

ეგვიპტელები ამაყობენ თავიანთი ისტორიული ძეგლებით. იმას კი აღარ ამბობდნენ (როგორც ერთმა ვლადივასტოკელმა ახალგაზრდამ, მათდამი მიძღვნილ პოემაში აღნიშნა) რამდენი ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა მათ აშენებას. მარტო ხეოფსის პირამიდის აშენების დროს დაიღუპა 10000 ადამიანი.

18 ოქტომბერს გავემგზავრეთ პორტში და მოვთავსდით ისევ იმავე გემ „პობედა“-ში, რითაც ჩამოვედით.

ორ დღეში ჩამოვედით სტამბულში. დავათვალიერეთ ქალაქი და სულთანის მუზეუმი, ოქროს აკვანი, (რაშიც იზრდებოდნენ მომავალი სულთნები) ოქროს ყდაში ჩასმული „ყურანი“ და სხვა წიგნები. უძვირფასესი ჩინური ჭურჭელი. სამწუხაროდ, დაკეტილი დაგვხვდა წმინდა სოფიას ტაძარი. გავიარეთ იქაურ ბაზარში, სადაც უნდა დაგვეხარჯა საბჭოთა 5 მანეთის ექვივალენტი იქაური ფული. ბაზარში, ჩვენი საუბრის მოსმენისას, გაგვეცნო იქაური ქართველი მამაკაცი, რომელმაც გვითხრა, რომ 500-მდე კომლი ქართველი ცხოვრობს სტამბულთან ახლოს, მეტყველებენ ქართულად, თუმცა იციან თურქულიც. მტკიცედ იცავენ წესს, რომ ქართველმა მხოლოდ ქართველთან უნდა შექმნას ოჯახი. ჩვენმა მამაკაცებმა მასთან ერთად გადაიღეს სურათი.

ტუტან-ჰამონის ოქროს სარკოფაგი

მოგზაურობის ოცდამეორე დღეს ისევ ჩამოვედით ოდესაში და მოვთავსდით სასტუმროში. დილით მოგვიწყეს ექსკურსია ქალაქში. დავათვალიერეთ ოპერის ბრწყინვალე თეატრი, რომელიც აშენებულია ცნობილი იტალიელი არქიტექტორის მიერ. ვნახეთ კატაკომბები, სადაც სამამულო ომის დროს თავს აფარებდნენ საბჭოთა ჯარისკაცები. ფაშისტებმა კი გამოსასვლელი ჩახერგეს, შიგ შეუშვეს მომწამვლელი გაზი და ერთიანად ამოწყვიტეს ისინი.

დავათვალიერეთ მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მებრძოლების საპატივსაცემოდ შავი ზღვის პირას აგებული მემორიალი.

მეორე დღეს, საღამოს ჩამოვფრინდით თბილისში. სადაც უნდა წახვიდე, ეგზოტიკურ თუ მდიდარ ქვეყანაში, სულ სხვაა შენი სამშობლოს სიტკბო და სიყვარული.

ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ ამ მოგზაურობის მონაწილეებს. ვინც ამ ქვეყნად აღარ არიან, უფალსა ვთხოვ, ნათელში ამყოფოს მათი სულები, მათ შორის გურამ ლოლაძისაც, რომლის თაოსნობითაც ბევრი კარგი რამ გაკეთდა ჩვენს რაიონში.

გულნარა პოპიაშვილი
ვეტერანი ექიმი

მასალის მომზადებაზე იმუშავა
ნაირა გორაშვილმა

ულოცავენ!

მზია ლეკაშვილს!

ოზაანის საჯარო სკოლის პედკოლექტივი სკოლის დირექტორს მზია ლეკაშვილს ულოცავს შვილების: ნათია ოზაშვილისა და თორნიკე ვაშაკიძის ბედნიერებას.

ახლადშექმნილ ოჯახს ვუსურვებთ ოჯახის სიმრთელეს და აკვანთა სიმრავლეს.

ყურადღება!

ვყიდი ან იაფად ვაქირავებ 20 ჰექტარ სახნავ მიწას შირაქში.
დარეკეთ:
591977–326

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 13.10	სამშაბათი 14.10	ოთხშაბათი 15.10	ხუთშაბათი 16.10	პარასკევი 17.10	შაბათი 18.10	კვირა 19.10
დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე
19 ° / 12 °	21 ° / 14 °	20 ° / 15 °	23 ° / 15 °	19 ° / 14 °	19 ° / 12 °	15 ° / 11 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K